# ახალგაზრდა ივერიელი

№23 (11080) 17 - 23 ნოემბერი 1997 წელი ფასი 40 თეთრი (თბილისის გარეთ 45 თეთრი)


გვ. 3



## შიმშილით სიკვდილისთვის განწირულებს ელექტროსკამზე აღარ დასვამენ



## ქართულ მიწას უკანონოდ ჯერ ფარულად და ჯერ ოფიციალურად ვინ დაისაკუთრებს...

გვ. 9

## საქართველოში ახალი ფენომენი გამოჩნდა...



გვ. 7

## როდემდე ვერ გაიყოფენ სარიშვილი და თარგამაძე ბრალმდებელ-ბრალდებულის ფუნქციას?



გვ. 4



## ინტელექტი უფუნქციოა ტექნიკის გარეშე

გვ. 6

## კვირის სუპერფრაზები

*ორშაბათიდან ორშაბათამდე*

„მე არ მეგულება ნორმალური ადამიანი, ვისაც 11 ნოემბრის ყრილობის ჩაშლა, მართლაც, გაეხარდა, ვინაიდან ამ დღეს ყრილობის ორგანიზატორები კი არ დამარცხდნენ. ჩვენ კიდევ ერთხელ გავახარეთ მტერი... მეცოდება ის კაცი, ვისაც კაკუბავა აქებს — კაკუბავამ რომ მაქოს, მთელი ღამე არ დამეძინება".

**ზურაბ ერქვანია,**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

... ქართული პოლიტიკური ცნობიერება ჯერაც აგონიაშია. მე მოსანანიებელი არაფერი მაქვს. მაშინ პოლიტიკურად რთული სიტუაცია იყო. ზვიადი ცოცხალი რომ ყოფილიყო, შეიძლება შევრიგებულიყავით. პოლიტიკაში მუდმივი ძმობა და მტრობა არ არსებობს. თუ ზვიადისტები კონცეფციას კარგად გამოკვეთენ, აქვთ მომავალი... ზვიადი მაშინ მარტო დარჩა. ეს აგონია რომ არ ჰქონოდა გარშემო, ოდნავ სიმშვიდის პირობებში მოვლენები შეიძლებოდა სხვანაირად წარმართულიყო, მაგრამ ეს ბედის ამბავია.

**ვახტანგ გოგუაძე,**
პარლამენტარი.

„ხშირად პრესაში მიხსენებენ როგორც „მხედრიონის" ყოფილ ლიდერს. კი, მაგრამ ვინ მომხსნა, ან ვინ გადამირჩია? მე შევარდნაძის დანიშნული არა ვარ „მხედრიონის" ლიდერად. თუ ვინმეს ჰგონია, რომ „მხედრიონი" აღარ არსებობს — ცდება. დიახაც, „მხედრიონი" კვლავ გამოვა არენაზე, ჭეშმარიტი „მხედრიონი" და არა ისეთი, როგორი იმიჯის შექმნასაც ცდილობდნენ ჩვენთვის შემოგზავნილი აგენტები და მათი პატრონები. სხვაგვარად ქართველი ერი ვერ იარსებებს. სხვაგვარად საქართველოს მოსახლეობა მონებად გადაიქცევა. ხუთი-ათი წელი „მხედრიონისთვის" არაფერია, მისი საშუალო ასაკი დღეს 28 წელია!

**ჯაბა იოსელიანი,**
ამჟამად პატიმარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან.
დამფუძნებელია გაზეთის კოლექტივი.

დირექტორი
მერაბ ბალარჯიშვილი
რედაქტორი
გიგლა გობეჩია
რედაქტორის მოადგილე
რუსუდან ლებანიძე
პასუხისმგებელი მდივანი
ნუკრი ბერიძე

განყოფილებები:
საპოლიტიკო – დავით ცაგარეიშვილი, თამარ ოთიაშვილი, ნონა ბურნაძე.
ინფორმაციისა და სოციალური საკითხების – ნინო ლურსმანაშვილი, მარინე ლონაძე.
ეკონომიკის – ნატა სალუქვაძე.
კრიმინალის – ია მაჭავარიანი, მაია სალირაშვილი.
საზოგადოების – მაია თუნგია, ბრიგიტა შიუკაშვილი.
კულტურის – მიმოზა კვირკვია.
სპორტის – გია ტუხაშვილი.
მენეჯერი – ლალი ხმიადაშვილი
რეკლამა-განცხადებების – ჯულიეტა ონიანი.
ფოტო-ილუსტრაციის – ჯავარ ლომაძე.
კორექტორები – მანანა დაუშვილი, ლელა ბუცხრიკიძე

გაზეთი რეგისტრირებულია მთაწმინდის რაიონის სასამართლოში
რეგისტრაციის № 20483868

გამომცემელი შპს „პრესა“

აიწყო და დაკაბადონდა „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი შპს „პრესის“ კომპიუტერულ ცენტრში

დაიბეჭდა საგაზეთო კორპუსში

რედაქციის მისამართია:
თბილისი, 380096,
მ. კოსტავას ქ. №14
ტელ. 93-31-49; 93-31-48; 93-31-56; 99-00-49

გაზეთი არ გამოხატავს რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის თვალსაზრისს და მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

შესაძლოა გაზეთში გამოთქმული მოსაზრება არ დაემთხვეს რედაქციისას.

ავტორები თვითონ აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტებისა და ციტატების სიზუსტეზე.

ნოსტალგია

## ზვიადისტთა მეჩხერი რიგები. უსაზღვრო ოპტიმიზმი და მხურვალე ტაში

1990 წლის 14 ნოემბერს პირველი სესია გამართა საქართველოს რესპუბლიკის ახლადარჩეულმა უზენაესმა საბჭომ. სწორედ ამ ფაქტს მიეძღვნა ა. წ. 14 ნოემბერს კოლხურ-კოშკში გამართული მიტინგი, სადაც ნამდვილად არ შეინიშნებოდა „ზვიადისტური“ პარტიების სიმრავლე, მიტინგის წამყვანს, წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრს რამდენჯერმე მოუწია გამეორება, ტრიბუნაზე მხოლოდ უზენაესი საბჭოს დეპუტატები და „მრგვალი მაგიდის წარმომადგენლები ამობრძანდნენო. მომიტინგეებით სავსე კოლხური კოშკის ეზო, მოთმინებით ელოდა ორ საათზე დანიშნული მიტინგის დაწყებას, მაგრამ რადგან მომსვლელთა რიგები არ წყდებოდა, ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მიტინგის დაწყება 40 წუთით გადაიდო, თუმცა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ქვრივი ქ-ნი მანანა არჩვაძე ზუსტად 2 საათზე გამოჩნდა ტრიბუნაზე, წუთიერად შეჩერდა ბ-ნი ზვიად გამსახურდიას სურათთან, მერე ისიც ტრიბუნაზე ანუ კოლხური კოშკის აივანზე მყოფი დეპუტატებისა და „მრგვალი მაგიდის“ წარმომადგენელთა წინასამიტინგო ფუსფუსს შეუერთდა.

მიტინგის მონაწილეთაგან, დაგვიანებით დაწყების გამო, უკმაყოფილება არავის გამოუხატავს, მშვიდად, მოთმინებით იდგნენ და ერთმანეთს აზრებს უზიარებდნენ. მერე მიტინგი დაიწყო და წამყვანმა ნამდვილი სამიტინგო ხმითა და მეტყველებით, კიდევ ერთხელ შეახსენა თავშეყრილთ, შეკრების მიზეზი: „1990 წლის 14 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ თავისი პირველი სესია ჩაატარა, ეს ჭეშმარიტად ისტორიულ დღედ იქცა საქართველოს ისტორიაში. მას შემდეგ 7 წელი გავიდა, საქართველომ მრავალი გასაჭირი ნახა, მრავალი უბედური წუთი დაატყდა თავს, მაგრამ დღეს კვლავ ასე ერთ მუშტად შეკრულნი, იმედითა და რწმენით აღსავსენი ვდგავართ ჩვენს ადგილზე და ვიცით, ვიდრე გვაქვს რწმენა, ვიდრე გვაქვს სიყვარულის შეგრძნება, ვიდრე გვჯერა საქართველოს თავისუფლების, მანამდე მტერი ვერაფერს დაგვაკლებს. ამ დიდ გამარჯვებაში, უდიდესი მისია შეასრულა კოლხურმა კოშკმა, და სწორედ ახლა, იმ სიტყვას, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე, ახლადარჩეულმა თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ წარმოსთქვა, ახლა წაიკითხავს, არა მხოლოდ კოლხური კოშკის, არამედ სრულიად საქართველოს დიასახლისი ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია“. (მხურვალე ტაში). მანანა არჩვაძემ, ვიდრე ზ. გამსახურდიას სიტყვის წაკითხვას შეუდგებოდა, მომიტინგეებს დეტალურად მოუთხრო, როგორ მიმდინარეობდა უზენაესი საბჭოს პირველი სესია. ვინ წარმოსთქვა პირველი სიტყვა, რა დროს გამოცხადდა შესვენება, და ა.შ. მერე წაიკითხა დაპირებული სიტყვა და მისი გამოსვლა დამთავრდა კოტე იმედაშვილის „დიდებით“, საქართველოს ჰიმნით, რომელიც უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე, ალექსანდრე სულხანიშვილის მიერ აშშ-დან ჩამოტანილი საქართველოს დროშის შემოტანისას შესრულდა პირველად. ქალბატონმა მანანამ სიტყვა გადასცა დეპუტატ დალი ფიროსმანაშვილს, რომელმაც 15 ნოემბრის სესიის მსვლელობა გაიხსენა და თქვა: „ბ-ნი ზვიადი ამბობდა, ბრძენი ებრძვის მტერს უთოფოდ და უზარბაზნოდ. მან მიიღო კანონები, რომელიც იყო ჩვენი თოფიც და ზარბაზანიც, ნურავინ დაიჯერებს, რომ კოლხური კოშკიდან ოდესმე ყოფილა ან „იქნება სისხლისღვრის მოწოდებები“. შემდეგ მან დამსწრეთ გააცნო კანონები, რომელიც უზენაესმა საბჭომ მიიღო 1990 წლის ნოემბრიდან 1991 წლის მაისამდე. მოკლედ, სიტყვით გამომსვლელები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. იხსენებდნენ „ძველ დიდებას“ და ოპტიმისტურ ნოტაზე ემშვიდობებოდნენ ხალხს, მათ ოპტიმიზს კიდევ უფრო აღრმავებდა იქვე გამოკრული ლოზუნგები: „ძირს ხუნტა“, „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს“, „აღდგენილ იქნას საქართველოს კანონიერი ხელისუფლება“.

მიმდინარეობა ქრონოლოგიურად აღნუსხა
**ანა ჩხეიძემ.**

პრესკონფერენცია

## თემურ ჭყონია: „ვგავარ იმ კაცს, ვისაც მფარველობენ?“

„კოკა-კოლა“ – გამაგრილებელი და სასიამოვნო სასმელი – ასეთია რეკლამის ძირითადი ტექსტი; „კოკა-კოლა“ – ზოგისთვის მართლაც გამაგრილებელი, ზოგისთვის მომწამლავი, ზოგისთვის გასამდიდრებელი საშუალება და ზოგისთვისაც საექსპერიმენტო სითხე: აბაზანის სახეხი, ბუზებისა და ტარაკანების მოსაშთობი, ტკბილეულის დამშლელი საშუალება... მაგრამ, რა გინდა, რას ერჩი?! მიაქვს პრესარადიო-ტელევიზია „კოკა-კოლას“ რეკლამას, „კოკა-კოლას“ ლატარეას და მოგებების სიხარულსაც იწვნევთ, ისევ „კოკა-კოლა“-სავე დირექციაში...

ავი ენები ამბობენ, რეკლამ სისულელეა და ყველაფერი ტყუილიაო, მხოლოდ ფულის მოგებას ცდილობენო რეკლამით. ფაქტი კი ფაქტად რჩება – მოქალაქეთა უმრავლესობა, ნებსითა თუ უნებლიეთ, „კოკა“-ს მომხმარებელია. არ ვიცი, ნამდვილად რეკლამას დავაბრალოთ, თუ....?

რაც შეეხება რეკლამას, შეგახსენებთ, რომ აშშ-ში როცა „კოკა-კოლამ“ პირველი მოგება 78 დოლარი მოიტანა, მისმა საწარმომ 78-დან 50 დოლარი რეკლამაში ჩადო. არც ჩვენი, ქართველი მეწარმეები ჩამორჩნენ ამერიკელ კოლეგებს და გაგიმხელთ, რომ მარტო მიმდინარე წელს 760 ათასი დოლარის სანაცვლო რეკლამა განთავსდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემაში. ალბათ, მართლა რეკლამაა ყველაფერი...

„კოკა-კოლა“-ს გენერალური დირექტორი თემურ ჭყონია თავისი მოღვაწეობის პერიოდში პირველად თეატრალური სარდაფის პრეს-კლუბში შეხვდა ჟურნალისტებს. იგი საკმაოდ საფუძვლიანად და არგუმენტირებულად პასუხობდა ჩვენს ყველა შეკითხვას, დაკავშირებულს მის პიროვნებასთან, თურქულ კრედიტთან, ინვესტიციებთან, საწარმოს მოგება-წაგებასა თუ ფილიალების გახსნასთან და აფხაზეთში ვიზიტთანაც კი...

ბატონმა ჭყონიამ ვრცლად ისაუბრა თავის წარსულ საქმიანობაზე, როცა მან ლიმონათს „კოკა“-ს წარმოება არჩია. ხარისხობრივად, ნივთიერებათა შემადგენლობისა და შემოსავლის თვალსაზრისითაც. მას, თურმე, საკმაოდ დიდი გამოცდილება შეუძენია წლების მანძილზე, ძალებიც მოუკრებია (ფინანსური და პროფესიონალური) და სწორედ ამიტომ სასაცილოდ მოეჩვენა საზოგადოების მითქმა-მოთქმა, რომ მას, თითქოსდა, სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი მფარველობდეს. – „ხომ მოისმინეთ ყოველივე და, თქვენი აზრით, ვგავარ მე ისეთ კაცს, ვინმე რომ მფარველობდეს?“ – კითხვა დასვა თავად ბატონმა თემურმა...

პასუხის გაცემაზე არავის უფიქრია. ისე კი, ნეტავი თუ შეიძლება ახლა (თუნდაც ოდესმე) მსგავს უზარმაზარ საწარმოს რომ „მფარველი“ არ ჰყავდეს? საწარმოს, რომელსაც ჩამოყალიბებიდან, 1993 წლიდან დღემდე სახელმწიფო ბიუჯეტში 11 მილიონ ლარზე მეტი თანხა აქვს შეტანილი? და თუ ეს ასეა, ბარაქალა ჭყონიას და მის თანამოსაქმეებს...

**მაია სალირაშვილი**

აფხაზეთი

## ვითომ კიდევ არ იქნება შეზღუდვები

აფხაზეთის უსაფრთხოების ზონაში დაუდგენელმა პირებმა ააფეთქეს ქვესადგური, რის შედეგად გალის რაიონის რამდენიმე სოფელს შეუწყდა ელექტროენერგია. რაიონის ადმინისტრაციამ დივერსიაში ქართველი პარტიზანები დაადანაშაულა. ამის სანაცვლოდ ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა სამეგრელოს და სხვა რეგიონებს. მათ შორის, თბილისის ზოგიერთ რაიონს.

ამჟამად ქართულ მხარესა და სეპარატისტულ ადმინისტრაციას შორის მოლაპარაკების შედეგად ენგურჰესი ჩაირთო სრული სიმძლავრით შეზღუდვები არ ხორციელდება.

* * *

## ახლა ერთმანეთსაც დაერივნენ

გასულ ხუთშაბათს გალის რაიონის ქვემო არხის ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ შეტაკებას ამჯერად რუსეთის სამშვიდობო ძალების ჯარისკაცებსა და აფხაზ ბოევიკებს შორის. კონფლიქტის მიზეზი უცნობია. დაიღუპა ერთი ბოევიკი გვარად – აგრბა, დაიჭრა რამდენიმე ჯარისკაცი.

* * *

## სულ რაღაც 5 ლარად...

საქართველოს საზღვარი მეოთხე წელია ენგურზე ჩაიკეტა. საკუთარ სახლ-კარში შეღწევას ბევრი დევნილი „ქრთამითაც“ ვერ ახერხებს. ვინც ახერხებს, მას იმდენი „პროპუსკი“ ესაჭიროება, ისევ ტყე-ღრეთი გადასვლას ამჯობინებს. მაგრამ თუ გული გაეხსნათ საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე მებაჟედ მდგარ რუსეთის სამშვიდობო ძალებისა და სეპარატისტთა წარმომადგენლებს სულ იაფად, მაღლითად ზუგდიდის მკვიდრს– 5 ლარად შეუშვებენ აფხაზეთში. მაგრამ საკითხავია რა მიზნით შედიან იქ არამკვიდრი ქართველები?

**ბრიგიტა შიუკაშვილი**

ინფორმაციული კალეიდოსკოპი

მარჯანიშვილის თეატრი, 26 ნოემბრის ჩათვლით, საგასტროლოდ გაემგზავრა პოლონეთსა და გერმანიაში. ორივე ქვეყანაში ნაჩვენები იქნება შექსპირის „მეფე ლირი“.

* * *

ელენე ახვლედიანის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით ეროვნული ხელოვნების გალერეაში გაიხსნა რამდენიმე მხატვრის ახალი ნამუშევრების გამოფენა.

ინფორმაცია

## ამერიკული მარკა 100 წლისაა

რა გვესაქმება ჩვენ ამ თარილთან, რომ არა ჟურნალისტთა სახლში გამართული ერთი საინტერესო გამოფენა, ის ეკუთვნის ქართველ ფილატელისტ გიჭი ლეფონავას, რომელიც ბავშვობიდან აგროვებს მარკებს და ეს გატაცება დროთა განმავლობაში ცხოვრების წესადაც კი ექცა სამხედრო პირს. მის კოლექციაში რომელი ქვეყნის მარკას არ შეხვდებით, თითოეულს თავისი ბედი აქვს და თავისი ისტორია ყოველ მათგანზე საინტერესოდ საუბრობს ბატონი გივი. განსაკუთრებით ქართული მარკებით, დაინტერესდით. ერთ-ერთ მათგანს გვიჩვენებს კიდეც, რომელზეც პიკასოს მიერ დახატული ფიროსმანის პორტრეტია აღბეჭდილი.

ზემოთ აღნიშნულ გამოფენაზე კი სხვადასხვა დროს გამოცემული ამერიკული მარკები იყო წარმოდგენილი, მათ შორის ატლანტა-96, მრავალი ფერისა და ათასგვარი მოხაზულობის. აქვეა ამერიკული მარკის 100 წლისთავთან დაკავშირებით გამოშვებული ამერიკული მარკაც.

**მიკო ჭანისპირელი**

## ვერც „მარტინ-ბაუერმა“ გვიშველა

80-იანი წლების ბოლოს მეჩაიეობა ქვეყნის ბიუჯეტისა და მოსახლეობის შემოსავლების ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო. ამ დარგზე მოდიოდა აგროსამრეწველო კომპლექსში წარმოებული პროდუქციის 18 პროცენტზე მეტი და მოგების 40 პროცენტი.

ბოლო წლებში პლანტაციების მოუვლელობის გამო მკვეთრად შემცირდა ჩაის ფოთლის წარმოება – გადამუშავება, გაუარესდა პროდუქციის ხარისხი, შეიზღუდა მისი რეალიზაცია.

პრეზიდენტის ფონდიდან გამოყოფილი 1 მლნ. ლარის დახმარებით შეიქმნა სასტარტო პირობები სეზონის დასაწყებად; მთლიანად დამზადებული 33,5000 ტონა ნედლეულიდან „ქართულ ჩაის“-თან დაკავშირებულ ფაბრიკებში გადამუშავდა 15 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, ხოლო გერმანულ ფირმა „მარტინ-ბაუერთან“ დაკავშირებული საწარმოების მიერ 18,5 ათასი ტონა.

გასულ წლებში წარმოებული და მომხმარებელზე მიწოდებული პროდუქციის ღირებულებიდან საწარმოებს დღესაც არა აქვთ მიღებული 1,3 მლნ. ლარი, ძირითადად თურქმენეთში მიწოდებული პროდუქციის საფასური.

სააქციო საზოგადოებებად დაფუძნებული საწარმოებიდან 15-ის აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინა გერმანულმა ფირმა „მარტინ-ბაუერმა“ და ამდენივე საწარმოსთან მუშაობს ხელშეკრულებით. სადღეისოდ მოკრეფილი და გადამუშავებულია 33 912 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც პროგნოზით გათვალისწინებულის 56,5 პროცენტია, მათ შორის სააქციო საზოგადოება „ქართული ჩაის“ მიერ მოკრეფილია 15.480 ტონა.

დავალება ვერ შეასრულეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ჩხოროწყუს, მარტვილის, ხობისა და ხონის მეჩაიეებმა.

თურქმენეთში გაიგზავნება 4 ათასი ტონა და უზბეკეთში 2 ათასი ტონა ქართული ჩაი.

**ნატა სალუქვაძე**

*საქართველოს ისტორიაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თარიღი ჩაიწერა. 1997 წლის 11 ნოემბერი ევროპული სუფრითა და ჭიქების ჭახუნით აღნიშნეს ქართველმა პარლამენტარებმა. ამ დღეს საქართველოში გაუქმდა სასჯელის განსაკუთრებული ზომა – სიკვდილით დასჯა.*

სტატუს კვო



# შიმშილით სიკვდილისთვის განწირულებს ელექტროსკამზე აღარ დასვამენ

პირველად სიკვდილით დასჯა საქართველოში თამარის მეფობის დროს XII საუკუნეში გაუქმდა, შემდეგ პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში 1918-1921 წლებში, სულ რამდენიმე დღის წინათ კი პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი კანონად იქცა. საქართველო შეუერთდა მსოფლიოს იმ 35 ქვეყნის რიცხვს, სადაც სასჯელის უმაღლეს ზომად სიკვდილით დასჯა არ გამოიყენება. არსებობს მოსაზრება, რომ ამ ნაბიჯით საქართველოს სწრაფვა ცივილიზებული, დემოკრატიული სამყაროსაკენ კიდევ უფრო გაღრმავდა, თუმცა, ალბათ, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ, მართალია, ევროპამ უარი თქვა სიკვდილით დასჯაზე და ეს ევროკავშირის მოთხოვნაცაა, მსოფლიოს არაერთ ცივილიზებულ ქვეყანაში, მათ შორის ამერიკის შტატების უმრავლესობაში არ არის გაუქმებული სიკვდილით დასჯა, პირიქით 10-ზე მეტ შტატში (მათ შორის ნიუ-იორკშიც) აღადგინეს კიდეც ეს კანონი. ამერიკა კი, დაგვეთანხმებით, უფრო სამართლებრივი სახელმწიფოა, ვიდრე საქართველო. ამიტომ, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია სოციალისტური პარტიის ლიდერის ბატონ ვახტანგ რჩეულიშვილის აზრი, რომ, ალბათ, „უმჯობესი იქნება ორიენტაცია ავიღოთ იმაზე, თუ რამდენად არგებს ესა თუ ის კანონი საქართველოს, და არა გარედან შემოსულ რეკომენდაციებზე". არგებს კი რაიმეს აღნიშნული კანონი საქართველოს? ძნელი სათქმელია, თუმცა თავად ფაქტის ჰუმანურობაში ეჭვიც არ გვეპარება.

საქართველოს ხელისუფლება ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ სიკვდილით დასჯის გაუქმებისაკენ. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სიკვდილით დასჯას დანაშაულის დაახლოებით 33 სახეობა ითვალისწინებდა. 1991 წლიდან აღნიშნულ დანაშაულთა რიცხვი თანდათან შემცირდა და ამ ეტაპზე ადამიანის სიკვდილით დასჯა მხოლოდ შვიდი სახეობის დანაშაულის ჩადენისათვის იყო გათვალისწინებული. დაახლოებით ერთი წლის წინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს თხოვნით მიმართა, გაეუქმებინათ სიკვდილით დასჯა. მიმდინარე წლის ზაფხულში თავად პრეზიდენტმა 54 სიკვდილმისჯილი შეიწყალა, ახლა კი, ყაზახეთში ოფიციალური ვიზიტით გამგზავრებამდე, საქართველოს პარლამენტს მიმართა სიკვდილით დასჯის გაუქმების თაობაზე. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ქართველ პარლამენტართა პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივას დებატები არ მოჰყოლია, თუმცა საწინააღმდეგო მოსაზრებებიც გამოჩნდა. ფრაქციებმა „ლეიბორისტი" და „მაჟორიტარი" მოითხოვეს საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, გენერალურ პროკურორთან, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან, სამართლის სფეროში მოღვაწე მეცნიერებთან შეხვედრა, დანაშაულთა სფეროში რეალური შედეგების გათვალისწინება, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საერთოდ, ნიადაგის მომზადება სიკვდილით დასჯის გაუქმებისათვის.

საფუძველსმოკლებული არ უნდა იყოს „ლეიბორისტების" ლიდერის შალვა ნათელაშვილის სიტყვები: „თუ სიკვდილით დასჯას გავაუქმებთ, შესაძლოა იმატოს ლინჩის წესით გასამართლებამ", თუმცა, თავის პოზიციას მტკიცედ იცავს საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი: „ადამიანებს იმიტომ კლავდნენ, რომ სახელმწიფოს სამართლიანობის იმედი არ ჰქონდათო". ვფიქრობთ კი ჩვენ სამართლიან სახელმწიფოში? შეძლებს კი ჩვენი ხელისუფლება საკუთარი მოქალაქეების „სხვა სიკვდილებისაგან" გადარჩენას? ადამიანს შვილს, ძმას, მეგობარს რომ მოუკლავენ და ხედავს, რომ მკვლელი დაუსჯელი დასეირნობს ქუჩაში, ნუთუ ძნელი წარმოსადგენია, რა შედეგს შეიძლება ველოდოთ? სამწუხაროდ, აქ უკვე აღარ მოქმედებს „არა კაც კლა"-ს პრინციპი. „ახლა ნახეთ თავების მოჭრაო" – ყოველ შემთხვევაში ასეთი იყო ჩემთან მოსაუბრე საზოგადოების წარმომადგენელთა პირველი რეაქცია, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა მოსაზრება, რომ „ხელისუფლებამ სისხლისგან ხელები დაიბანა".

წინა პარლამენტში სიკვდილით დასჯის გაუქმების პრობლემა არც კი დამდგარა. ალბათ, უპირველეს ყოვლისა, ამ საკითხის ირგვლივ საზოგადოებრივი აზრის არარსებობის გამო. ერთი წლის წინათ კი, უმცირესობის საბჭოს სხდომაზე მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა დაუჭირა მხარი სიკვდილით დასჯის გაუქმებას. ასეთ ვითარებაში ბუნებრივად იბადება კითხვა: ნუთუ ასე სწრაფად მომწიფდა საზოგადოებრივი აზრი? თუ ის მოსაზრება უფრო ყურადსაღებია, რომ „პარლამენტართაგან, რამდენიმე ადამიანის გარდა, პრაქტიკულად, სიკვდილით დასჯის გაუქმებისათვის დიდი მნიშვნელობა არავის მიუნიჭებია და ამიტომ იყო ასეთი ერთსულოვნება" (148 მომხრე, ერთი წინააღმდეგი)... იყო კი მზად საქართველო იმისათვის, რომ სიკვდილით დასჯა სამუდამო პატიმრობით შეეცვალა? ციხე ხომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, აქვს კი ჩვენს ქვეყანას იმის საშუალება, [illegible] ორასამ მკვლელობას რომ ჩაიდენს, [illegible] უგემრიელად ასვას და აჭამოს?" ან [illegible] უწყება გააკონტროლებს იმ პოლიციელთა მოქმედებას, საშინლად რომ აწამებენ ადამიანებს, და შემდეგ ფაქტობრივად, ხელში რომ აკვდებიან? ნუთუ ეს მათი მხრიდან სიკვდილით დასჯა არ არის?...

სიკვდილით დასჯის გაუქმება რომ „სახელმწიფოებრივი ოპტიმიზმის და ერის კულტურული დონის გამოვლენაა", ამაში ნამდვილად ვეთანხმებით ბატონ სააკაშვილს, მაგრამ „სიკვდილით დასჯის საკითხის გადაწყვეტამდე ადამიანს ოპერაციის ფული რომ უნდა ვაღირსოთ", ესეც ცხადია, თუმცა რჩეულიშვილი არც არავის გამოიღვენებას აპირებს და არც შეწინააღმდეგებას, რადგან სიკვდილით დასჯის გაუქმებას პირველმნიშვნელოვან საკითხად არ მიიჩნევს. მას უფრო გაღატაკებული მოსახლეობის ბედი აინტერესებს. „დღეს საქართველოში მოსახლეობის 42 პროცენტი ღატაკია, 45 პროცენტი – ღარიბი, ე.ი. 87 პროცენტი ღარიბ-ღატაკი შიმშილით სიკვდილის წინაშე დგას", – აცხადებს იგი და აქეთ მისვამს შეკითხვას: „თუ სიკვდილით დასჯის საკითხის გაუქმებას ასეთ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პარლამენტში, როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტი არ უნდა ყოფილიყო იქ?".

ნურავინ ჩაგვითვლის, თითქოს სიკვდილით დასჯის გაუქმების წინააღმდეგნი ვიყოთ, მაგრამ, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ როდის და როგორ ქვეყანაში უნდა მივიღოთ მსგავსი გადაწყვეტილება. რეალობიდან გამომდინარე, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე შეკითხვა დავსვით იმ უამრავთაგან, რომელიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოიშვა და ალბათ, კვლავაც წარმოიშობა. როგორ ფიქრობთ, განა უმჯობესი არ არის, „ქვეყანაში ისეთი პირობები შევქმნათ, კაცი მკვლელად რომ არ ვაქციოთ?" (ზ.ახმეტელი, ფრაქცია „იმედი").

ისე კი, კანონი „სიკვდილით დასჯის გაუქმების" შესახებ უკვე მიღებულია და, იმედია, რომ გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ დაექვემდებარება.

**თამარ ოთიაშვილი**

# სიკვდილით დასჯა გუშინ, დღეს, ხვალ... როდემდის ნეტა თუ?

საქართველოში სიკვდილით დასჯის მორატორიუმი პრეზიდენტის მიერ 1994 წლიდან გამოცხადდა. მას შემდეგ საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო – სიკვდილით დასჯის გაუქმების მომხრენი და მოწინააღმდეგენი. მართალია, სიკვდილით დასჯა 150 აღრიცხული ქვეყნიდან 35-შია გაუქმებული, მაგრამ, მაგალითად, მას ინგლისის პარლამენტი 15-ჯერ დაუბრუნდა. საზოგადოება ძალზე მტკივნეულად შეეგუა მას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელის უმაღლესი ზომა შემდეგი კატეგორიის დამნაშავეებს ესჯებოდათ:

I. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება (მუხლი 96-1);

II. დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობა (მუხლი 104);

III. დამამძიმებელ გარემოებაში გაუპატიურება (მუხლი 117, ნაწილი 4).

აღნიშნული მეთოდით არ შეიძლებოდა იმ პირთა დასჯა, რომელთაც არ შესრულებიათ 18 წელი, და ქალს, რომელსაც დანაშაულის ჩადენის ან განაჩენის გამოტანის დროს, ან მისი აღსრულებისას ფეხმძიმედ იყო. საქართველოში სიკვდილით ადრეული პერიოდიდანვე სჯიდნენ სახელმწიფო და ხელმწიფის მოხელეებს, ჯაშუშებს. გიორგი III-ის მეფობისას 1170 წლის სიგელის მიხედვით სიკვდილით დასჯა მრავალჯერ „პარეისთვის" ყოფილა, რაც სხვადასხვა ფორმით სრულდებოდა: ამოხრჩობა, მოშთობა, კლდიდან გადმოგდება, დაწვა...

სიკვდილით დასჯა ბევრგან გაუქმდა მაგალითად: გერმანიაში, პოლანდიაში, სკანდინავიის ქვეყნებში, შვეიცარიაში, ამერიკის რამდენიმე შტატში, თუმცა ზოგიერთ შტატში მსჯავრდებულს არჩევანის უფლებასაც კი აძლევენ – ჩრდილოეთ კაროლინაში მას შეუძლია „გაზის კამერა" ან ელექტროსკამი აირჩიოს. დასავლეთის ქვეყნებში მიღებულია დახვრეტა, მაგრამ ბოლო დროს მსჯავრდებულთა დიდი ნაწილი ქიმიურ პრეპარატებს არჩევს.

აშშ-ში დასჯილთა გვამების მიღება შეუძლიათ მხოლოდ ოჯახის წევრებს, სხვა შემთხვევაში ციხეში არსებობს კრემაციის ინსტიტუტი. საქართველოში სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა იყო, ჩვენში დამნაშავეებს არჩევანის საშუალებაც კი არ ჰქონდათ, გვამის მოკვლევა კი მხოლოდ ოცნება იყო მისი ახლობლებისათვის...

დღეს სიკვდილით დასჯის მუხლი გაუქმდა, პარლამენტმა მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, რომ სახელმწიფო არ უნდა იყოს მკვლელი ადამიანისა, რომელმაც, თუნდაც შეგნებულად ხელყო სხვისი სიცოცხლე... გაორებულია საზოგადოება და თავად პარლამენტარებიც, მათ სხვადასხვაგვარი მიდგომა აქვთ აღნიშნული საკითხისადმი.

*ვახტანგ რჩეულიშვილი:* „მდიდარს შეუძლია დაუსჯელობა იყიდოს"

– სიკვდილით დასჯის გაუქმება ეს არის ევროკავშირის მოთხოვნა იმ ქვეყნისადმი, რომელიც მისი ოჯახის წევრია. სინგაპურში სიკვდილით სჯიან ნარკოტიკებით მოვაჭრეებს. ვინაიდან ნარკობიზნესი წამლავს საზოგადოებას, ჩვენ კი სატრანზიტო ქვეყანა ვართ და ნარკობიზნესის განვითარების დიდი შანსიც გაგვაჩნია, ამიტომაც არა ვარ წინააღმდეგი ნარკობიზნესმენებისა და განზრახ მკვლელების მიმართ ჰუმანურობა გამოვიჩინოთ – ყოველ შემთხვევაში, გავაუქმოთ სიკვდილით დასჯა.

იმ ქვეყნებში, სადაც გაუქმებულია სიკვდილით დასჯა, გახლავთ ალტერნატიული დასჯის მწყობრი სისტემა და, ჩვენთან, სადაც ყველაფერი ფულზე იყიდება და მდიდარს შეუძლია დაუსჯელობაც კი იყიდოს, მას არც სიკვდილით დასჯა დაემუქრება, მით უმეტეს, როცა იგი საერთოდ არ იქნება გათვალისწინებული. არც ყველაფრის ევროსაბჭოზე აგება მიმაჩნია მართებულად, რადგან საქართველომ, უმჯობესია საკუთარი, ეროვნული ინტერესები დაიცვას.

ხშირად ნაჩქარევად ვღებულობთ უმნიშვნელოვანეს კანონებს, რაც ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს და შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს მისი სიმწარეც ვიწვნიოთ.

საქართველოს კი დღესვე ევროსაბჭოში არავინ იღებს. არც იმის მომხრე ვარ, რომ ვინმე დღესვე დაიხვრიტოს, რადგან სიკვდილით დასჯას ვეტო აქვს დადებული და იგი არ სრულდება. ისე კი, იქნებ მივჰყვებოდა ვილნიუსისთვის, სადაც მუდმივი პატიმრებისთვის ძველი სახელმწიფო ბანკის შენობა გამოიყო, დაცული და საკმაო სათავსოებით. გაგვაჩნია კი ჩვენ მსგავსი პირობები?

*ლევან თედიაშვილი:* „ეს არის „პაკაზუხური" კანონი"

– არ ვიცი, რა მოთხოვნებს გვიყენებს, საერთაშორისო ევროპის სახლია თუ ევროპის საბჭო, მაგრამ ნამდვილად ადრე კია. ამ საკითხს მე რადაცნაირად სკეპტიკურად ვუყურებ და მეშინია, რომ ჩვენს მიერ გამოტანილი კანონის მერე ხალხში არ დაიწყოს ლინჩის წესის პოპულარიზაცია.

დღეს ხალხი დაწყნარებული არ არის – გადაუწყვეტელია აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემები, კვლავ არიან გარკვეული შეიარაღებული ჯგუფები. ისიც კარგად ვიცით, რა ხდება ამ ციხეებში და კოლონიებში – ერთ ადგილზე 25-27 კაცი მოდის, თანაც, მტრისას, იმისთანა პირობებში ცხოვრობენ. მუდმივ პატიმრებს მაქსიმალური პირობები უნდა შევუქმნათ.

არ ვიცი, რატომ ვართ მოწინავეები ყველაფერში და სულ გვინდა ვაჩვენოთ, თითქოს ჩვენ ვართ ყველაზე ჰუმანური და ჭკვიანი ხალხი. რას ვედრებით ამერიკის შეერთებულ შტატებს, სკანდინავიის ქვეყნებს? მოდი, ჯერ მივიდეთ მათ განვითარებამდე და მერე დიდი სიამოვნებით, ვინ არის წინააღმდეგი? მე ვფიქრობ, რომ ეს გადაწყვეტილება ნაადრევია, და ამიტომაც, „პაკაზუხურს" ვეძახი!

*თამაზ ღაუშვილი:* „როცა ჩვენ ამისთანა მართლმსაჯულება გვყავს..."

– სიკვდილით დასჯით ადამიანის შეშინება ან გამოსწორება სისულელეა. ნორმალური ადამიანი შეგნებულად არ სჩადის მძიმე დანაშაულს. ეს არის მენტალურად დაავადებულის თვისება, რომლისთვისაც არსებობს ნებისმიერი სამკურნალო ცენტრი. მე ვთვლი, რომ კაცს, რომელსაც შეუძლია შეგნებულად გაანადგუროს და მოკლას, ზნეობრივად [illegible] და მისთვის არსებობს მუდმივი [illegible], სამკურნალო ადგილი, [illegible] იმ ხალხს და მოდი ჰქონდეთ „ვერხაია კოიკა"! ეს იქნება იზოლირება საზოგადოებისათვის სახიფათო ადამიანებისა.

რაც შეეხება აფექტში მომხდარ დანაშაულს, ამას ვერ გამოვრიცხავთ, რადგან შეიძლება ნებისმიერ ადამიანს შეემთხვეს ოჯახის შეურაცხყოფისას ან პირადი ინტერესებიდან გამომდინარე. მიუხედავად იმისა, რაც არ უნდა მწარე იყოს მოსალოდნელი განაჩენი, ადამიანის ცხოვრებაში დგება ბიოლოგიური აფექტის მომენტი, როცა თავს ვეღარ აკონტროლებ და უნებლიეთ იდენ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს.

ერთიც გასათვალისწინებელია – ჩვენ იმისთანა მართლმსაჯულება გვყავს, რომ შეუძლია, საქმე ნებისმიერი კუთხით შემოატრიალოს და განაჩენიც შეუფერებელი გამოუტანოს, მე კი ადამიანს ამისთვის ვერ გავიმეტებ, ამიტომაც, სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი ვარ...

ესაუბრა

**მაია სადირაშვილი**



# როდემდე ვერ გაიყოფენ სარიშვილი და თარგამაძე ბრალმდებელ-ბრალდებულის ფუნქციას?

ტელესერიალების მოყვარულთაც კი მობეზრდებოდათ სარიშვილ-თარგამაძის დაუსრულებელი კატა-თაგუნობანას თამაშის ყურება. ბრალმდებელ-ბრალდებულის უცნაური მონაცვლეობა – აი, მოკლე „სცენარი" [illegible] უსასრულოდ გაწელილი „სერიალისა", რომელიც ჯერაც შორსაა ასე სასურველი ფინალისაგან.

საფრანგეთიდან დაბრუნებულ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს საქართველოში ახალი ამბები დახვდა და შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ გალაშქრებაც ახალი შემართებითა და მისთვის ესოდენ სასურველი ძველი მეთოდიკით – ჟურნალისტების შეამავლობით, მოუხდა. ბრალმდებელი სარიშვილი უეცრად, თუმცა, არც მთლად მოულოდნელად, ბრალდებულის ამპლუაში მოხვდა და საკმაოდ მოკლე დროში „ცილისწამებისა და მონაჭორის" სახელგანთქმულ ავტორად იქცა. პროკურატურის ლეგენდადქცეული 16-გვერდიანი დასკვნა, რომელიც კახა თარგამაძის უდანაშაულობას კბილებით იცავდა, როლების შენაცვლების მიზეზი გახდა, კახა თარგამაძემ 137-ე მუხლის თანახმად, ირინა სარიშვილის წინააღმდეგ განცხადება შეიტანა და გამოძიებაც სწორედ ამ განცხადებაზე დაყრდნობით დაიწყო. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს ამ ხნის მანძილზე პროკურატურაში იბარებდნენ არა როგორც ბრალმდებელს, არამედ სხვა ამპლუაში.

კითხვა, თუ რის საფუძველზე უწოდა პროკურატურამ სარიშვილს „ცილისწამებისა და მონაჭორის" ავტორი მაშინ, როცა ცილისწამების – როგორც უსაფუძვლო ბრალდების – საფუძველი არც [illegible], ირინა სარიშვილის კოზირად გადაიქცა. როლების [illegible] ახალი პერსპექტივაც ჩაისახა და დასასრულის [illegible] ცნობისმოყვარეთა თვალსაწიერი, ფინალის კონტურები არათუ მიუახლოვდა, პირიქით, დასცილდა კიდეც:

259 ცალი აუდიოკასეტა, რომელიც სარიშვილმა პრეზიდენტს, პრეზიდენტმა კი პროკურატურას გადასცა, არ გაშიფრულა იმ მნიშვნელოვანი მიზეზის გამო, რომ კასეტები არაკანონიერი გზით იყო მოპოვებული.

– არც მიკვირს, რომ პროკურატურას სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლი დაავიწყდა, რომელიც კომუნისტების დროს (როცა ადვოკატის და ბრალდებულის ფუნქცია მინიმუმამდე იყო დაყვანილი), მკვდარ მუხლად ითვლებოდა. კახა თარგამაძეც და პროკურატურაც აღიარებს, რომ ჩემს მიერ წაყენებული ბრალდებები ძალზედ მძიმე ხასიათის და საზოგადოებრივი დატვირთვისაა. მე-16 მუხლი კი დანაშაულად არ თვლის უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში ჩადენილ დანაშაულის ნიშნების შემცველ ქმედებას, რომელიც მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილების მოტივითაა განპირობებული, – აცხადებს ირინა სარიშვილი და აქვე დასძენს, – პროკურატურას სწორედ ეს მე-16 მუხლი უნდა გაეხსენებინა და მასალების კანონიერება-უკანონობისთვის დასაწყის ეტაპზე მაინც არ უნდა მიექცია ყურადღება. ედპ-ის ლიდერმა პოზიციის განსამტკიცებლად კონსტიტუციის 52-ე მუხლიც მოიშველია და განაცხადა, რომ მას, როგორც დეპუტატს, აქვს საინფორმაციო წყაროს არდასახელების უფლება.

გენერალური პროკურორის მოადგილემ კი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს ახალი კონსულტანტის აყვანა ურჩია, რომელიც ქალბატონ ირინას 108-ე მუხლის (საფუძველი და საბაბი) არსებობასაც შეახსენებდა და ინფორმაციისა და ბრალდების განსხვავებულობის არსსაც აუხსნიდა, ბატონმა ბალუაშვილმა მე-16 მუხლის ამ კონტექსტთან მორგების მცდელობასაც არასწორი კონსულტაციის შედეგი უწოდა. განმარტა, რომ მე-16 მუხლს, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის სულ სხვა ინსტიტუტს წარმოადგენდა, ამ კონკრეტულ შემთხვევასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა.

ქალბატონ ირინა სარიშვილის მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ პროკურატურამ 259 აუდიოკასეტიდან მხოლოდ ერთი კასეტა გაშიფრა, პროკურატურის 16-გვერდიან დასკვნაშიც ცალსახად და გარკვევით აისახა.

ერთი კასეტის საფუძველზე (თურმე, მხოლოდ ერთი კასეტა აღმოჩნდა „კანონიერი გზით" მოპოვებული) დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა? – კითხულობს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, რომელიც პროკურატურის საკმაოდ დიდ შეცდომად თვლის იმის აღიარებას, რომ მან კასეტები არ გაშიფრა. მაშ, რის საფუძველზე მიწოდეს ცილისმწამებელი? – კითხულობს ქალბატონი ირინა და ცდილობს, ეს მომენტი კოზირის ფუნქციით დატვირთოს, საკითხი შეაბრუნოს, ისევ ბრალმდებლად გადაიქცეს და „ცილისწამებისა და მონაჭორის" ავტორობა ამჯერად პროკურატურას გადაულოცოს.

არა მგონია, პროკურატურის 16-გვერდიანი დასკვნის ავტორმა ბატონმა ანზორ ბალუაშვილმა „ცილისწამებისა და მონაჭორის" ავტორობაც საკუთარ თავზე იტვირთოს, გენერალური პროკურორის მოადგილე ამ დასკვნას, გარკვეული სიამაყითაც კი, მხოლოდ საკუთარ შედევრად თვლის და ირინა სარიშვილის რეპლიკას – ასეთ დასკვნებს მარტო ბალუაშვილი ვერ გამოიტანდაო – მკვეთრი რეაქციით უპირისპირდება; ბალუაშვილი კანონის გარდა არავის უთანხმდება, არავის ურიგდება, არავის ემორჩილებაო.

ამ მკვეთრად დაპირისპირებულ მხარეთა შორის, თქვენ წარმოიდგინეთ, კონსენსუსიც კი გამოიკვეთა – რაოდენ არაადეკვატურად ან არალოგიკურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ფაქტია – ორივე მხარე, ბრალმდებელიცა და ბრალდებულიც (თუმცა მათ დღემდე ვერ გაიყვეს ბრალდებულ-ბრალმდებლის ფუნქცია) კმაყოფილებითაც კი ელოდება საქმის სასამართლო პროცესამდე მიღწევას.

– კახა თარგამაძე, თუ ის მართლაც სიმართლისთვის იბრძვის, ჩემი დასჯითა და საქმის სასამართლოსთვის გადაცემით თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული, მაგრამ, ალბათ, ის ჯერჯერობით ახლადმინიჭებული ვახტანგ გორგასლის ორდენის მიღების ზეიმითაა გართული.

კახა თარგამაძე თუ არა, მაშინ, მე თვითონ აღვძრავ სარჩელს და მოვითხოვ პასუხს, თუ რის საფუძველზე მიწოდეს ცილისმწამებელი და ჭორების ავტორი. ორივე შემთხვევაში საქმე სასამართლომდე მივა და ძიება მასალების გაშიფვრის აუცილებლობის წინაშე დადგება, რაც ბევრ გახმაურებულ სახელსა და გვარს წარმოაჩენს – აცხადებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი.

იქნებ ახლა მაინც გამოცხადდეს სარიშვილი პროკურატურაში? – სარჩელის აღძვრის „მუქარამ" „კმაყოფილებაც" კი აგრძნობინა ბალუაშვილს და კითხვაზე, თუ რატომ არ გაშიფრა პროკურატურამ კასეტები, უპასუხა: ერთი კასეტის მოსმენამ საოცრება გამოავლინა. ჩვენ მოქალაქეთა ყოფითი და ინტიმური ხასიათის სატელეფონო საუბრებს ვისმენდით. დაუყოვნებლივ გავეცი ბრძანება – გაშიფვრა შეეწყვიტათ და მხოლოდ მაშინ განეგრძოთ, როცა სარიშვილი კონკრეტულად მიუთითებდა, თუ რომელი კასეტა შეიცავდა მამხილებელ ფაქტებს და საფუძველს იმისას, რომ მოქალაქეთა უფლებების შებღალვის გარეშე წარმართულიყო ძიება.

ჟურნალისტთა დაჟინებულ რეპლიკებს, იქნებ რისი აღმოჩენის შანსს კარგავდა ბალუაშვილი, როცა დანარჩენ კასეტებს არ შიფრავდა, გაცხარებული გენერალური პროკურორის მოადგილე მკაცრად პასუხობდა: არ მაინტერესებს, არაფრის მოსმენას არ ვაპირებ, რაც კანონის საზღვრებში არ თავსდებაო.

ირინა სარიშვილი 259 კასეტის გაშიფვრით ცნობილი პიროვნებების გამომზეურებას აპირებს. ანზორ ბალუაშვილი კი ვერაფრით ვერ მიმხვდარა, რომელ გამოაშკარავებაზეა საუბარი, როცა ვინმე ზაზას თუ მამუკას პირად სატელეფონო საუბარს ისმენს. კანონის მარწუხებში ზედმეტად მომწყვდეულმა ბალუაშვილმა ასტრონომიული სიზუსტით დაასახელა, თუ რამდენი ზაზა, პეტრე თუ რობერტი ცხოვრობდა საქართველოში და რა სიძნელესთან იყო დაკავშირებული იმის დადგენა, თუ რომელ პეტრესთან ან რომელ შალვასთან გვქონდა საქმე ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

მაშ, რის საფუძველზე ეწოდა სარიშვილს ცილისმწამებელი? როგორც გენერალური პროკურორის მოადგილემ გვაუწყა, იმ კონკრეტული ფაქტების შესწავლის საფუძველზე, რომელიც ირინა სარიშვილმა გაშიფვრის გარეშე წამოაყენა და, რომელიც შესწავლას დაექვემდებარა.

...და, მაინც, საინტერესოა, სარიშვილ-პროკურატურის ლავაში გადაზრდილი სარიშვილ-თარგამაძის პაექრობა როდემდე დარჩება ცალ-ცალკე მომჩივანის არაკის სიმართლედ, ერთი შეხედვით, ყველაფერი რომ ცხადზე უცხადესია, სიმართლის გარდა.

**ნონა ბურნაძე**



ბრალდება

# მალე პოლიციელებიც იყვირებენ: „ზვიად, ზვიად...!"

## მანანა არჩვაძე-გამსახურდია უარყოფს ყოველგვარ ალიანსს თამრიკო ჩხეიძესთან და ნოდარ ნათაძესთან

სათქმელი არ ელევა „წმინდა ილია მართლის საზოგადოებას", მაგრამ პრესკონფერენციების ამგვარი ინტენსიობით ჩატარება, მათივე სიტყვებით, თვითმიზანი სრულიადაც არ არის, რადგან ქვეყანაში განვითარებული მოვლენები და „კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მომხრეთა წინააღმდეგ მიზანმიმართული პროვოკაციული ქმედებები" თავისთავად არ აძლევთ უფლებას არ გამოხატონ საკუთარი პოზიცია. ავიღოთ, თუნდაც ის ცილისმწამებლური კამპანია, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ზვიად გამსახურდიას ოჯახს – ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას და მათ შვილებს, გიორგისა და ცოტნეს, რომლებიც, თითქოს იარაღს ატარებენ და თავზეხელაღებულად იქცევიან". „ზვიად გამსახურდიას ოჯახს იარაღის გარება არ სჭირდება. მათი ძირითადი იარაღი არის სიმართლე და იდეა, რომელსაც ისინი ემსახურებიან. ქართველი ხალხი საჭიროების შემთხვევაში მკერდით გადაეფარება ზვიად გამსახურდიას ოჯახს და დაიცავს მათ". „წმინდა ილია მართლის საზოგადოების" გამგეობის წევრებთან შეღავებას არ ვაპირებთ, მაგრამ ამგვარი განცხადების საფუძვლიანობაში ნამდვილად ვერ დავეთანხმებით. ჩვენი არგუმენტაციის დასამტკიცებლად კი მხოლოდ ერთ კითხვას დავსვამთ – დაიცავდით კი თავად ზვიად გამსახურდია? ან თუნდაც ნებისმიერი სხვა ( და არა ერთი და ორი)...?

„წმინდა ილია მართლის საზოგადოების" წარმომადგენელთა აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ „უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ტელევიზიით გახშირდა პროვოკაციული გამოსვლები", რომლებიც მიზნად ისახავს „მოსახლეობის დაშინებას და მასობრივი ფსიქოზის შექმნას". ამჯერად მათი განცხადების მთავარი თემა – გადაცემა „პროფილის" წამყვანის ეკა ბერიძისა და საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის ანზორ ბალუაშვილის დიალოგი გახლდათ. „სამართალდამცავი ორგანოს მაღალი ჩინოვნიკის უხეშური პოზიცია აბათილებს უდანაშაულობის პრეზუმპციას, რაც კანონის ხელით კანონსაწინააღმდეგო მოწოდებით გამოიხატება. ანზორ ბალუაშვილი არარსებულ ალიანსებზე მიუთითებს და ცილისმწამებლურ პარალელებს ავლებს, მაშინ როდესაც თამრიკო ჩხეიძის, ნოდარ ნათაძის, ბორის კაკუბავასა და მანანა არჩვაძე-გამსახურდიას პოლიტიკას არანაირი საერთო წერტილი არ გააჩნია – აცხადებენ ისინი და „დეზინფორმაციას „კოლხური კოშკიდან" სისხლისღვრის მოწოდების შესახებ", ფაქტობრივი ხელისუფლების მხრიდან „პოლიტიკური, ოპონენტების წინააღმდეგ მორიგი რეპრესიების დასაწყისად მიიჩნევენ".

თავად ექსპრეზიდენტის ქვრივი ნაკლებადშესამჩნევი ემოციურობით აცხადებს, რომ იგი ყოველთვის ემიჯნებოდა იმ ხალხს, რომლებსაც ზვიადის სახელის გამოყენება სჭირდებოდათ. „ისინი კავშირში იყვნენ ჩვენს მტრებთან და ორმაგად თამაშობდნენ. საქართველოს მტრებთან კავშირი არასოდეს მქონია. ეს ხალხი სავარძლების გარეშე დარჩა და იმიტომ ლანძღავს შევარდნაძეს... აბა, დაუბრუნეთ სავარძლები!... ზვიადს ხელში იარაღი არასოდეს აუღია, არასოდეს უბრძოლია სავარძლისათვის"... ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია გენერალური პროკურორის მოადგილეს, თამრიკო ჩხეიძესა და ნოდარ ნათაძესთან ალიანსში ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტებს სთხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ანზორ ბალუაშვილს მოუწევს „სრულიად საქართველოს წინაშე აგოს პასუხი".

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა, მორიგი აურზაურის მოწმენი გავხდეთ. ან კი რა გასაკვირია? დღევანდელი დღე ხომ მსგავსი აბსურდების ყველაზე რეალური საყრდენია?

მართალია, წმინდა ილია მართლის საზოგადოების „წარმომადგენლები არ სცნობენ ფაქტობრივი ხელისუფლების კონსტიტუციას, მაგრამ პატივს სცემენ და აფასებენ მას. ამ კონსტიტუციის თანახმად ყველას აქვს მშვიდობიანი ბრძოლის საშუალებების გამოყენების უფლება და, თუმცა, ცდილობენ, რომ „სისხლით მოვიდეთ ხელისუფლებაში, ჩვენ არ დავემგვანებით სისხლიან პუტჩისტებს. ჩვენ თავს გავწირავთ გამოვალევიძებით საქართველოს, თუ ეს ვერ შევძელით, პრეცედენტს მაინც შევქმნით, როგორც ეს ქაქუცა ჩოლოყაშვილმა გააკეთა" – კატეგორიულად აცხადებს გამგეობის წევრი მაუგლი ჩხოკაძე და აქვე, საქართველოს სახელმწიფოებრივ მშენებლობაზე საუბრისას სასამართლოზე გიორგი ბარამიძის მიერ „მხედრიონელთა" გადაკლის ფაქტს იხსენებს და მას „უპრეცედენტო შემთხვევას" უწოდებს: „განაჩენი ჯერ გამოტანილი არ არის სასამართლოს მიერ, პარლამენტარი (უფრო სწორედ „მოქალაქეთა კავშირი") კი ეჭვქვეშ მყოფ პიროვნებებს კიცხის. ეს არის სასამართლოზე ზეწოლა".

წმინდა ილია მართლის საზოგადოებას „მიაჩნია, რომ უკანონო ხელისუფლება შეგნებულად უარყოფს გასხვისებული ტერიტორიების საქართველოს იურისდიქციისადმი დაქვემდებარების ერთადერთ რეალურ, მშვიდობიან გზას, რმელიც კანონიერი ხელისუფლების და კონსტიტუციური წყობის აღდგენაზე გადის".

აქვე აღვნიშნავთ, რომ ბოლო დროს აღდგენილ „ზვიადისტების" საინფორმაციო მიტინგებზე შეკრებილ საზოგადოებაში ხშირად გაისმის, რომ „შევარდნაძე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მტერია", რომ „მისთვის მზე ჯერ ჩრდილოეთიდან ამოდის, შემდეგ დასავლეთიდან", რომ „ლენინელ მოსახლეობაში ნიჰილიზმს ნერგავენ" და ასე შემდეგ... სხვათა შორის, მიტინგებზე წესრიგის დასამყარებლად მოსულ პოლიციელთა რიცხვი თანდათან შემცირდა. ეგ კი არა და, დაკვირვებული თვალი იმასაც შეამჩნევს, რომ ზოგიერთი მათგანი ისეთი ყურადღებით უსმენს გამომსვლელთა (განსაკუთრებით კი მანანა არჩვაძე-გამსახურდიას) სიტყვებს, აღვილი შესაძლებელია სულ ცოტა ხანში „ზვიადი, ზვიადი"-ს ძახილით ისინიც მომიტინგეთა („ზვიადისტთა") რიგებს შეუერთდნენ.

**თამარ ოთიაშვილი**

## წინსწვილმა ფქვასო...

შეიძლება ჩაითვალოს, რომ მასწავლებელთა ატესტაციის ყბადაღებული პროცესი, ავად თუ კარგად, დამთავრდა 25 ოქტომბერს, როცა ჩატარდა ბოლო ტესტირებული გამოცდა. განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო მეთოდური ცენტრის მიერ კომპიუტერული დამუშავების შედეგად მიღებული მონაცემები წინასწარ უკვე შეფასდა. პასუხები ეგზავნება რაიონების საატესტაციო კომისიებს, რომლებიც იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებებს კატეგორიების მინიჭებისას.

წინასწარი მონაცემებით, 75 137 მასწავლებლიდან II-VI პარამეტრით ატესტაცია გაიარა 22 372-მა (29,8 პროცენტი), რომელთაგან უმაღლესი კატეგორია მიენიჭა 594 (0,8 პროცენტი), ხოლო I-VI პარამეტრით ატესტაცია გაიარა 19 875 მასწავლებელმა, მათგან უმაღლესი კატეგორია მიეკუთვნა 4643-ს (6,2 პროცენტი).

საქართველოში ტესტირებას (I პარამეტრი) ექვემდებარებოდა 32015 მასწავლებელი (ტესტირება არ ჩაუტარდათ დაწყებითი კლასის მასწავლებლებს და ზოგიერთი საგნის პედაგოგებს, გამოცდები იყო მხოლოდ საშუალო სკოლის 12 საგანში), გამოცდებზე გამოცხადდა 19 875 მასწავლებელი (62,1 პროცენტი), ამათგან 786-მა ვერ დააგროვა კატეგორიის მინიჭებისათვის საკმარისი ქულები (ე.ი. დარჩა კატეგორიის გარეშე).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ განათლების სამინისტრო და საატესტაციო კომისია (რომელთაც ერთი წლის წინათ უფრო პრინციპული და მკაცრი პოზიცია ეკავათ ამ საკითხებთან დაკავშირებით — ამაზე ცოტა ქვემოთ), კიდევ აძლევენ შანსს იმ მასწავლებლებს, რომლებიც ტესტირებაზე ვერ თუ არ გამოცხადდნენ სხვადასხვა მიზეზისა გამო: მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში, სამინისტროს მიერ დანიშნულ დღეებში, მათ შეუძლიათ ჩააბარონ ტესტირებული გამოცდები, ხოლო თუ ამ ხნის განმავლობაშიც ვერ მოახერხებენ, ან არ ისურვებენ ამას, ასეთი პედაგოგები დარჩებიან კატეგორიის გარეშე და მომავალი წლის იანვრიან მათი ხელფასი ზუსტად ორჯერ ნაკლები იქნება უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის ხელფასთან შედარებით.

ბუნებრივია, ბევრი კითხვა იბადება და პასუხს მოითხოვს, ჩვენ უკვე წარმოვაჩინეთ პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაციის პოზიცია ამ პროცესთან დაკავშირებით, ახლა, ალბათ, უპრიანი იქნება, მოვუსმინოთ საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეს განათლების მინისტრის მოადგილეს ბატონ **დავით ბურჭულაძეს.**

# ატესტაციას

## „შეწირული გამგებლების" მაგალითმა ზოგიერთებს ჭკუა ჯერაც ვერ ასწავლა...

*— კატეგორიის გარეშე დარჩენილი მასწავლებლები, ან ისინი, ვინც არ გაიელიან ატესტაციას ბოლომდე, დათხოვილი ხომ არ იქნებიან სკოლიდან? ყოველ შემთხვევაში, შემცირებები თუ წავიდა, ალბათ, პირველ რიგში მათ დაითხოვენ.*

— არა, წელს შემცირებები არ არის მოსალოდნელი. ტესტირების შედეგად, ამ ეტაპზე, არავის არ დატოვებს სკოლას, არც ის, ვინც მოვიდა გამოცდებზე, მაგრამ ვერ დაიმსახურა კატეგორიის მინიჭებისათვის საკმარისი ქულები (ასეთი მასწავლებელი 786-ია) და არც ის, ვინც თავი აარიდა ტესტირებას. მაგრამ მათი ხელფასი გაცილებით მცირე იქნება I კატეგორიის მასწავლებელთან შედარებით და 2-ჯერ მცირე უმაღლეს კატეგორიასთან შედარებით.

*— თავიდან, ატესტაციის დებულებაში ხომ იყო კატეგორიის გარეშე დარჩენილი მასწავლებლების „დამსჯელ ღონისძიებაზე" ლაპარაკი?*

— ატესტაციის დებულებაში, რომელიც 1996 წლის 15 აგვისტოს სამინისტროს კოლეგიაზე იქნა მიღებული, თავიდან იყო პუნქტი; „ატესტაციის II ეტაპზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში მასწავლებელს ეწერება შეფასება 0 და განთავისუფლებული იქნება დაკავებული თანამდებობიდან". დამსჯელი ზომები, ასე ვთქვათ, თავიდან ჩადებული იყო დებულებაში, მაგრამ შემდგომ, რაც სრული ტესტების კრებულები დავურიგეთ ყველა მასწავლებელს უსასყიდლოდ, ტესტირებამ გამოიწვია დიდი აჟიოტაჟი, როგორც პრესაში, ისე პედაგოგთა შორის. ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა პარლამენტში, სახელმწიფო კანცელარიაში და განათლების სამინისტროში, ჩვენი პროფკავშირების მოთხოვნა გავითვალისწინეთ, პედაგოგთა მხარეს დავდექით და რადგანაც ტესტირება უცხო ხილი იყო, დებულების საბოლოო ვარიანტში ჩაიწერა, რომ ტესტირების პროცესი ნებაყოფლობითია, მაგრამ ერთი პირობით: ვინც გაიარა და გაივლის ტესტირებას, ჩაითვლება, რომ მან ატესტაციის პროცესი გაიარა ბოლომდე და მიენიჭება გარკვეული კატეგორია ქულათა რაოდენობის მიხედვით, ხოლო ვინც ტესტირებას საერთოდ არ გაივლის, დარჩება კატეგორიის გარეშე.

ჩვენ ვაპირებთ გამოვაქვეყნოთ ყველა სკოლის მონაცემები ბროშურის სახით და აქ აისახება უკვე ამა თუ იმ სკოლის პრესტიჟი. ეს წინასწარი მონაცემები შეიძლება ოდნავ შეიცვალოს, ალბათ, 0,5 პროცენტით, მაგრამ ძირითადი სურათი ამით უკვე შექმნილია.

ათი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა აპელაციები კომპიუტერულ ცენტრში. ვისაც პრეტენზია ჰქონდა, ის მოვიდა და 20 ათასი კაციდან სულ 3 თუ 4 მასწავლებლის ქულები შეიცვალა მათ სასარგებლოდ, რადგანაც პერსონალურ ვარიანტში მათ მექანიკური შეცდომები ჰქონდათ და აქაც ჩვენ პედაგოგთა მხარეს დავდექით.



სანამ ნებაყოფლობითს გავხდიდით ტესტირებას, იყო ლაპარაკი, რომ ატესტაცია დამსჯელი ღონისძიებაა, ახლა პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაციამ 180 პროცენტით შეიცვალა პოზიცია და იძახიან, ძალიან ლმობიერი ატესტაცია იყო და ის რა ატესტაციაა, რომელიც უკადრის მასწავლებელს სკოლიდან არ დაითხოვსო.

*— ამბობენ, ტესტირებაზე მასწავლებლებს თავისუფლად ჰქონდათ გადაწერის საშუალებაო.*

— რომ ჰქონოდათ, ძალიან გაუჭირდებოდათ ამის გაკეთება. აი, თქვენ წარმოიდგინეთ, ქართულში, მაგალითად 2 800 კითხვა იყო, აქედან თითოეულ პედაგოგს კომპიუტერი აძლევდა პერსონალურ ვარიანტს 72 კითხვით. როგორ უნდა მოეძებნათ 2800 კითხვაში თავიანთი 72, თანაც სწორი პასუხი? ამას გარდა, ჩვენ პატარა ეშმაკობა ვიხმარეთ, თუ ტესტების კრებულში 5 პასუხიდან სწორი პასუხი (რომელსაც ვარსკვლავი ჰქონდა) იყო მე-2, ვთქვათ, პერსონალურ ვარიანტში მას ადგილი შევუნაცვლეთ, მაგალითად, მე-5-ზე გადავსვით. ამით მექანიკური გადაწერის საშუალება კიდევ შემცირდა.

*— ისიც თქვეს პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაციის წევრებმა, კანფეტებს ურიგებდნენ მასწავლებლებს ჩვენს ჯიბრზეო?*

— კანფეტები ცოტა ისეთი ნათქვამია, მაგრამ მასწავლებლებს პირობები შევუქმენით, რომ 4 საათის განმავლობაში, სანამ ტესტებზე მუშაობდნენ, ლიმონათის, ბორჯომის, ან უბრალოდ, წყლის დალევის საშუალება ჰქონოდათ.

*— ბორჯომი და ლიმონათიც მსოფლიო ბანკმა დააფინანსა?*

— მსოფლიო ბანკმა აანაზღაურა ის, რომ დაიბეჭდა ტესტები და ყველა პედაგოგს დაურიგდა უსასყიდლოდ, თავისი პასუხებით. ისე, ამ თანხის დახარჯვა „გამჭვირვალე" პროცესია და რომელ ორგანიზაციასაც აინტერესებს, რა თანხა იყო და რამდენად სწორად დაიხარჯა, ამის შემოწმება არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს, აი, ახლა, სწორედ აუდიტია შემოსული შემოწმებაზე...

*— თუ არ ვცდები, მსოფლიო ბანკმა 290 ათასი ლარი გამოყო.*

— დიახ, ეს არ არის პატარა თანხა საქართველოსთვის. მაგრამ ზოგიერთს რომ ჰქონდა ასეთი ლაპარაკი, ეს თანხა მასწავლებლებს დავურიგოთ და სოციალური პირობები გავუუმჯობესოთო – მარტივი არითმეტიკაა, გაყავით 290 ათასი ლარი 75 137-ზე (პედაგოგთა რაოდენობა), რამდენი შეხვდებოდა თითოეულს? სამი-ოთხი ლარი ვინმეს სოციალურ მდგომარეობას გააუმჯობესებს?...

მთავარი, რისთვისაც ჩვენ ვიბრძვით, ის არის, რომ რასაც შევპირდით ჩვენს მასწავლებლებს ხელფასებთან დაკავშირებით კატეგორიების მიხედვით, შევუსრულოთ და ჩვენ ამას გავაკეთებთ.

*— ამ ეტაპზე თუ არის დაფარული პედაგოგთა ხელფასის დავალიანებები მთელი რესპუბლიკის მასშტაბით?*

— სამწუხაროდ, ეს ისევ რთული საკითხია. ძალიან დიდი დავალიანებებია ქუთაისში, ჭიათურაში, ვანის რაიონში...

*— მე მგონი, თქვენ უნდა მოითხოვოთ, რომ კანონით დაეკისროთ პასუხისმგებლობა იმათ, ვისი მიზეზებითაც შეფერხებებია ხელფასების გაცემაში. როგორც ელცინმა გააკეთა პენსიებთან და სტიპენდიებთან დაკავშირებით.*

— იცით, ალბათ – ამ საქმეს უკვე რამდენიმე გამგებელი შეეწირა, აღარ დავასახელებ, აღარ მინდა, კიდევ გული ვატკინო...

როგორც ჩანს, „შეწირული გამგებლები" კიდევ ვერ იქცა ზოგიერთებისათვის თვალსაჩინო, ჭკუის სასწავლებელ მაგალითად...

ესაუბრა
**ნინო ლურსმანაშვილი**

ტურიზმი




# სამგზავრო კარნეტი — ახალი ნაბიჯი ცივილიზებული ტურიზმის გზაზე

**ავსტრიის საავტომობილო და ტურისტული კლუბის (OAMTC', საერთაშორისო ტურისტული ალიანსის (AIT) და გერმანიის საავტომობილო კლუბის (ADAC) მეშვეობით შეიქმნა და შემუშავდა დოკუმენტი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში წარმოადგენდა ავტომობილით საზღვრების გადაკვეთის წინამძღვარს და საფუძველს და მას ეწოდა სამგზავრო კარნეტი. ერთ-ერთ მის ნაირსახეობას წარმოადგენს ტურისტული კარნეტი.**

**ტურისტული კარნეტი ერთდროულად წარმოადგენს როგორც შენგენის კავშირის ქვეყნებში გასამგზავრებელ ვაუჩერს, ასევე დაზღვევას, რომელიც მოქმედებს ამავე ქვეყნების ტერიტორიაზე. კარნეტის გარანტებს წარმოადგენდნენ საერთაშორისო ტურისტული ალიანსი, ავსტრიის საავტომობილო და ტურისტული კლუბი, გერმანიის საავტომობილო კლუბი. აღნიშნული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარანტიები წარმოადგენს საკმარის საფუძველს კარნეტის მფლობელისათვის, რათა მან მიიღოს შენგენის ქვეყნების ვიზა.**

ჩვენი ქვეყნის საავტომობილო ფედერაციასა და **ALT/OAMTC**-ს შორის გარკვეული მოლაპარაკებების და ამ უკანასკნელის საერთო მხარდაჭერის შედეგად დღეიდან ტურისტული კარნეტი და მასთან დაკავშირებული გარანტიები ძალაში იქნება საქართველოს მოქალაქეების მიმართაც. ტურისტული კარნეტი შეცვლის ქვეყნიდან გასასვლელი ვიზის მისაღებად საჭირო ვალდებულებებს და საგარანტიო განცხადებებს. ამიტომ, თუ არ იარსებებს რაიმე განსაკუთრებული მიზეზი, რომელიც ხელს შეუშლის ვიზის გაცემას, საქართველოს მოქალაქე კარნეტთან ერთად იძენს შენგენის ქვეყნებში, ავსტრიაში, ხოლო უახლოეს მომავალში შვეიცარიაში გამგზავრების უფლებას. კარნეტი მიეცემა საქართველოს მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნიათ საზღვარგარეთის პასპორტები. იგი შეიძლება გაიცეს როგორც 15 დღიანი, 1-2-3 თვიანი ერჯერადი გამგზავრების მიზნით, ასევე 2 და 3-თვიანი მრავალჯერადი გამგზავრების მიზნით. ამრიგად, კარნეტის მფლობელმა შეიძლება მიიღოს ერთჯერადი ან მრავალჯერადი ვიზები.

საერთაშორისო ტურიზმის ალიანსის გენერალური დირექტორის პიტერ დოგვეილერის თქმით, საერთაშორისო ტურიზმის ალიანსი არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს 130 საავტომობილო და ტურისტულ ასოციაციას. სრულიად გერმანიის საავტომობილო კლუბი უმსხვილესია ევროპაში, ის აერთიანებს 13 მილიონ ინდივიდუალურ წევრს. ავსტრიის საავტომობილო და ტურიზმის კლუბთან მჭიდრო თანამშრომლობით ამ ორგანიზაციამ შეიმუშავა სპეციალური დოკუმენტი, რომელიც მნიშვნელოვნად გააადვილებს ვიზის მიღებას პირებს, ვისაც სურს საზღვარგარეთ მოგზაურობა.

ახლახან ჟურნალისტებთან შეხვედრისას ტურიზმისა და მომხმარებელთა დეპარტამენტის დირექტორმა ხორსტ დიურშტეინერმა განაცხადა, რომ ავსტრიის საავტომობილო-სამოტოციკლო და ტურიზმის კლუბი მომავალში ყველა წამოწყებაში, რაც კი მიზნად ისახავს საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას, მხარში ამოუდგება საქართველოს საავტომობილო ფედერაციას. კარნეტის ყველა მფლობელი, გაუთვალისწინებელი ავადმყოფობის შემთხვევაში, როდესაც საჭიროა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, დაზღვეულია 30 ათასი ეკიუთი, ხოლო 2700 ეკიუთი – როდესაც დგება კარნეტის მფლობელის იძულებითი დეპორტაციის საკითხი. დაზღვევა მოქმედებს მხოლოდ კარნეტის ვადის ფარგლებში (ვიზის ვადის გასვლიდან 4 კვირა).

კარნეტის ღირებულება 15 დღისათვის 47 დოლარია, 1 თვით – 57 დოლარი, 2 თვით – 75, 3 თვით კი – 97 დოლარი.

საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული კარნეტის ავტორიზებულ გენერალურ გამავრცელებელს წარმოადგენს საქართველოს საავტომობილო ფედერაცია, რისი წინამძღვარიც იყო წლის დასაწყისში საქართველოს საავტომობილო ფედერაციის საერთაშორისო ტურიზმის ალიანსში გაწევრიანება.

**ნატო კილასონია. მაკა მჭედლიშვილი,**
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო და მედიცინა

# უფუნქციო ინტელექტი ტექნიკის გარეშე



ქართული ნეიროქირურგიისათვის ბოლო 7-8 წლის მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ათვისებულ იქნა რთული ოპერაციები — ტვინის ღეროს სიმსივნეების, ტვინის სისხლძარღვთა ანევრიზმების მათ შორის, თავის ქალას უკანა ფოსოს სისხლძარღვთა ანევრიზმების, კისრის ოპერაციები წინა მიდგომით. ამ ოპერაციებს ჩვენი ნეიროქირურგები წარმატებით აკეთებენ. მძლავრი ნეიროქირურგია ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნის პრეროგატივაა, რადგანაც ძალზე ძვირადღირებული დარგია. მაშ, რა „ბედნიერ შემთხვევას“ უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენში ნეიროქირურგიის განვითარება რაღაც გარკვეულ დონეს აღწევს?

ეს „ბედნიერი შემთხვევითობა“ აწ გარდაცვლილ პროფესორ ოთარ სიგუას სახელს უკავშირდება. ეს იყო შესანიშნავი ექიმი და ღირსეული ადამიანი.

– ბატონი ოთარი მართლაც უნიკალური პიროვნება იყო, – ასე ახასიათებს მას პეტრე სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რომან შაქარაშვილი** – იმ მხრივ, რომ იგი არათუ აფერხებდა თავის კლინიკაში იმ ოპერაციების ათვისებას და წარმოებას, რომელსაც თავად არ აკეთებდა, არამედ, პირიქით, ხელს უწყობდა. ხშირად შეფი ზღუდავს (შესაძლოა, ქვეცნობიერადაც) რომელიღაც სფეროს განვითარებას იმის გამო, რომ ის თვითონ არ ფლობს იმ კონკრეტულ საქმიანობაში რაღაც დონეს, განვითარების საშუალებას არ აძლევს იმ საქმეს რაც მის კომპეტენციას აღემატება. ბატონი ოთარ სიგუა პირიქით, ყოველმხრივ ხელს უწყობდა ახალგაზრდებს, ტოლერანტული იყო იმათ მიმართ, რომლებიც ახალი ოპერაციების ათვისებას ცდილობდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ეს მართლა უნიკალური მოვლენაა, განსაკუთრებით, საქართველოს სინამდვილეში. იგი თამამად შეიძლება ჩაითვალოს იმ თაობის (30-40 წელი) ნეიროქირურგების მასწავლებლად, ვინც ახლა წარმატებით მუშაობს საქართველოში.

– ბატონმა ოთარმა თავისი ინიციატივით, თავისი სახსრებით დაიქირავა მანქანა და ახალგაზრდებს მიკროსკოპი ჩამოგვიტანა მოსკოვიდან, თუმცა პირადად მას თავის საქმიანობაში არ სჭირდებოდა. თუ დღეს ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს, დავიცავთ ბევრი ურთულესი მიკრონეიროქირურგიული ოპერაციისათვის საჭირო ტექნოლოგიური ციკლი, პროფესორ ოთარ სიგუას დამსახურებაა, – ამბობს მიკრონეიროქირურგიული განყოფილების უფროსი ექიმი გიორგი მალალაშვილი.

ოთარ სიგუას მიიჩნევენ გზის გამკვლევად და მასწავლებლად დღეისათვის ჩვენში ცნობილი ძლიერი ნეიროქირურგები: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯონი გუნია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა ხევსურიანი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ალექსანდრე გველესიანი და ბატონი გიორგი მალალაშვილი.

მაგრამ...

არსებობს ბევრი მაგრამ.

ის აპარატურა, რომლითაც მათ უხდებათ მუშაობა, საბჭოური პერიოდიდანაა შემორჩენილი, ტექნიკა კი ყოველდღიურად იცვლება, ახალი და ახალი საშუალებები ჩნდება და ეს საშუალებები განსაზღვრავენ უკვე იმ შედეგებს, რაც შეიძლება თითოეულ მიკროქირურგიულ ჩარევას ჰქონდეს. რაც უფრო მაღალი დონისაა ტექნიკური აღჭურვილობა, უფრო ზუსტია დიაგნოზი... შემოდის ახალი ტექნოლოგიები, რაც ასევე ტექნიკურ აღჭურვილობას მოითხოვს, ტექნიკა, თავის მხრივ, საჭიროებს მაღალკვალიფიციურ, კომპეტენტურ სპეციალისტს ინფორმაციის გამოყენების თვალსაზრისით...

ნეიროქირურგიული ციკლი რომ იქნას დაცული – გამოკვლევა, ოპერაცია, პოსტოპერაციული მკურნალობა – თანამედროვე აპარატურას 3-4 მლნ დოლარი მაინც სჭირდება, ასეთი ტექნიკის ექსპლოატაცია ძვირია და, შესაბამისად, დიდ თანხებთან არის დაკავშირებული ავადმყოფის მკურნალობა.

ამიტომ არის, რომ ეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული დარგია, ამიტომ ძლიერი ნეიროქირურგია მაღალგანვითარებული ქვეყნების პრეროგატივად ითვლება.

დღეს ჩვენი ნეიროქირურგები ძველი საბჭოური მიკროსკოპით ახერხებენ რთული ოპერაციების წარმოებას და ბევრ გაჭირვებულსაც შველიან, ბევრის სიცოცხლეც გადაურჩენიათ.

მაგრამ, რა იქნება ხვალ?

ხვალ, როცა ძველი აპარატურა საერთოდ გამოვა მწყობრიდან? ინტელექტი თავისთავად, ცალკე ამ შემთხვევაში უფუნქციოა, რადგანაც მიკრონეიროქირურგიაში ინტელექტი ავსებს ტექნიკას, ან – პირიქით.

ფაქტი ერთია: არის რაღაც დონე და დასანანია, მიღწეული დაიკარგოს და მთელი შრომა წყალში ჩაიყაროს.

**ნინო ლურსმანაშვილი**

ვითომ?..

# მისალოცია თუ არა სალარიძისათვის ომბუდსმენობა?

ომბუდსმენი — შვედური წარმოშობის სიტყვაა და ქართულად სახალხო დამცველს, ხალხსა და ხელისუფლებას შორის შუამავალს ნიშნავს. ომბუდსმენის ინსტიტუტი 200 წლის წინათ ჩამოყალიბდა სკანდინავიის ქვეყნებში და სწორედ აქ არის ყველაზე ძლიერად გავრცელებული. სახალხო დამცველი მოღვაწეობს მსოფლიოს 200-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის, ამერიკის 10 შტატში, ევროპაში. რიგ ქვეყნებში გვხვდება სხვადასხვა სფეროს ომბუდსმენები: სასჯელის აღსრულების, ეკონომიკის, ჯანდაცვის და სხვა...

პირველი ომბუდსმენი სნგ-ს ქვეყნებიდან საქართველოში აირჩა — დავით სალარიძე! პოლიციის გენერალი, საგადასახადო ინსპექციის ყოფილი უფროსი... ათასგვარი მოსაზრებანი, მითქმა-მოთქმა და ვერსიები... ვერც გაამტყუნებ — საზოგადოება ხომ ყველაფერს მისებურად აღიქვამს და კომენტარებიც შესაბამისად გამოაქვს...

ჟურნალისტმა ნანა დევდარიანმა ქართველი ომბუდსმენი პრეს-კლუბში მოიწვია. დარბაზში მრავალრიცხოვანი ჟურნალისტების გარდა რამდენიმე უფლებაშელახული ადამიანიც იმყოფებოდა.

დავით სალარიძემ აღნიშნა, რომ მას გენერლობა სწორედ კარგი სამსახურისთვის უბოძეს. ვინაიდან იგი დამსჯელი ორგანოს წარმომადგენელი იყო, ყველაზე უკეთ უწყის, განსასჯელისა და პატიმრის ბედი. ზოგს ეგონა, რომ სახალხო დამცველი მხოლოდ განსაჯელთა და პატიმართა უფლებებს უნდა იცავდეს. რასაკვირველია, სანამ ეჭვმიტანილი, განსასჯელი და პატიმარი იქნება, ომბუდსმენი მათ უფლებებს ყველა ეტაპზე დაიცავს, მაგრამ ბატონმა სალარიძემ პირობა დადო, რომ ჩაიხედავს სამხედრო (სადაც ყოველგვარი შეკითხვების გარეშე აქვს შესვლის უფლება) უწყებაში, დაიცავს მეწარმეობის, ჯანმრთელობის, განათლებისა და სხვა სფეროებში დარღვეულ ადამიანთა უფლებებს და, რაც ყველაზე მთავარია, იგი ქალს ფენომენს, ქალის ენერგიასაც დიდ ყურადღებას დაუთმობს და დაიცავს მის უფლებებს.

დღეისათვის რესპუბლიკაში ერთ მილიონზე მეტი უმუშევარი, 300 ათასზე მეტი იძულებით გადაადგილებული და 300 ათასამდე ინვალიდია. ეს არის კატასტროფული ციფრი სოციალურად და მორალურად დაუცველი ადამიანებისა, თითოეულის სათხოვარისა და საჩივრის მოსმენასა და შეძლებისამებრ გადაწყვეტას რომ აპირებს ომბუდსმენი — „იგი კარგი კაცი უნდა იყოს, ამავე დროს პრინციპული, კომპეტენტური, მიმნდობი, მიმტევებელი, თანამგრძნობი არასამთავრობო ორგანიზატორებისადმიც კი. სახალხო დამცველს პრეზიდენტმაც კი უნდა დაუჯეროს. მე ვიქნები სწორედ ასეთი კაცი“. ამ უზარმაზარი არმიის უფლებების დაცვას ბატონი დავითი 50-კაციანი აპარატით აპირებს, რომელიც დაკომპლექტდება გამოცდილი ადამიანებით, მიუხედავად მათი პროფესიისა.

სახალხო დამცველმა იგნორირება არ უნდა გაუკეთოს არც მხედრიონსა და არც მის წარმომადგენლებს, უკვე ისტორიის კუთვნილებას და საქართველოს წარსულის ნაწილთ. აღელვებს აგრეთვე, „ზვიად განმანთავისუფლების პარტიის“ თავმჯდომარე ლეილა ცომაიას ბედი და თვლის, რომ არ არის აუცილებელი მისი პატიმრობაში ყოფნა...

ერთი სიტყვით, წინ დიდი გზაა, ეკალ-ბარდებითა და უკმყოფილებებით აღსავსე. ცნობილია, რომ ყველა უფლებაშელახული ხელისუფლებისგან და მისი მოხელეებისგან იჩაგრება, ამიტომ ყველა გზა მთავრობისკენ მიდის და, საინტერესოა, პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატურა ოდესმე შეეჯახება თუ არა მთავრობას, ანდა, თავადაც საკმაოდ გაწონასწორებული და ადამიანებთან ურთიერთობებში ზედმიწევნით დაკვირვებული დავით სალარიძე თუ შეძლებს ნებისყოფის მობილიზებას და, სულ მცირე — არა მხოლოდ ყოველი განცხადების გაცნობას, მათ რეალიზებასაც კი.

ჩვენს გვერდით ახალი სტრუქტურის ახალი შეფია ახალი იდეებით... ცნობილია, რომ კაცს ყოველ სიახლეს ულოცავენ, აღნიშნულ შემთხვევაში ბატონ ომბუდსმენს, ალბათ, მილოცვის ნაცვლად გამძლეობა და თანაგრძნობა უნდა გამოვუცხადოთ... ვნახოთ, რა იქნება ხვალ...

დღეს კი, ქართველ ომბუდსმენს, ჯერჯერობით, საკუთარი უფლებებიც დასაცავი აქვს — არ გააჩნია სამუშაო ადგილი და კაბინეტი...

**მაია სალირაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. № 22. 10-16 ნოემბერი.)

## ფანტაზიიდან რეალობამდე

მე უკვე ვწერდი, რომ თემურთან მოულოდნელი შეხვედრა ბევრი რამით იყო დასამახსოვრებელი, მაგრამ პირველმა კონსულტაციებმა 1995 წლის ივნისში ჩემში ორჭოფული განწყობილება შექმნა. თემური მარწმუნებდა, რომ ყველაფერი ასრულდებოდა. დღეს ადვილია ლაპარაკი, მაგრამ მაშინ, 1995 წლის 4 ივნისს, როცა დეკრეტულ შვებულებაში ვიმყოფებოდი, არანაირი შეხება არ მქონდა პოლიტიკასთან, პოლიტიკოსებთან, არაფერს ვწერდი და არაფერს ვაქვეყნებდი და ჩემი დროის უდიდეს ნაწილს ჩემს პატარა ბიჭუნას ვუთმობდი, ძნელი იყო დამეჯერებინა, რომ 1997 წლის სექტემბერში პრეზიდენტ შევარდნაძეს შევხვდებოდი. ახლა და მერე როგორ!

პირველი შეხვედრიდან საკმაო დრო გავიდა. მე თემურის ძალის და რაღაც არაბუნებრივი (იქნებ ყველაზე მეტად ბუნებრივის (?!), წარმოსახვის უნარი ვირწმუნე. ამაში ჩემი თავიც დამეხმარა. მეც მქონდა რაღაც გამოუცნობი გრძნობის განცდა, სიზმარი ჩემთვის მომავლის სასიგნალო ნიშანი იყო ყოველთვის. წელიწადში 5-6 სიზმარზე მეტს არ ვხედავ მეათე კლასიდან (ყველა სიზმარი ჩაწერილი მაქვს და ყოველი მათგანი ზუსტად გადმოსცემდა მომავალს). ყოფილა ჟელი, როცა საერთოდ არც მინახავს ივი. სიზმრებზე სხვა დროს დავწერ, მაგრამ ამჟამად ვიხსენებ ამას მხოლოდ იმიტომ, რომ მე ვირწმუნე ახლად აღმოჩენილი ფენომენის, ეს კი საუცხოო რამ ყოფილა, ჩემი ველი გაიხსნა!

1995 წლის 4 სექტემბერს მქონდა მეორე შეხვედრა. ეს საოცარი დრო იყო. ტერაქტი ახალი მომხდარი იყო (უკვე მის მიერ ნაწინასწარმეტყველები!). ქვეყანა აზვირთებული. ცენტრში იგორ გიორგაძე მოექცა. უშიშროება, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, ყველა ძალა მობილიზებული იყო. აფეთქების ორგანიზატორები აუცილებლად უნდა გამოაშკარავებულიყვნენ.

ამ დღეს 35 საკითხი იყო. შესრულდა 28. დროს ელოდება 7!

გამოითქვა მოსაზრებები ტერაქტზე, ორგანიზატორებზე! უნდა ვთქვა, რომ დღევანდელი გადასახედიდან თემური ყველაზე „ბრწყინვალე გამომძიებელი" იყო 1995 წელს!!! ის, 1995 წელს ამბობდა იმას, რაც დღესაც ბურუსითაა მოცული.

ვფიქრობ მისი დაწერის უფლება არა მაქვს. ზოგადი შინაარსი კი ბევრისთვის ცნობილია. მე მაშინ ვთქვი, ახლა? უბრალოდ არ შეიძლება!

**მესამე შეხვედრა**, – 1995 წლის 2 ოქტომბერი. 39 საკითხიდან შესრულდა 26, ნაწილობრივ 5. შესასრულებელია 8.

1996 წელს 5 შეხვედრა შედგა და უნდა იაქვას, რომ 1997 წლის 1 იანვრისთვის შესასრულებელი დარჩა 17. დღეის მდგომარეობით კი 13. ამ ხუთ შეხვედრაში იყო ყოველდღიური „წვრილმანები". ახლობლების მოულოდნელი ავადმყოფობა, სიკვდილიც კი, მეუღლის სამსახურის ცვალებადობა, მტრისა და მოყვრის გარჩევა სახელებისა და რიგ შემთხვევებში გვარების(!) დასახელებით. ამ შეხვედრების დროს მეორდებოდა დაჟინებით რამოდენიმე საკითხი, რომელთაგან პრეზიდენტთან შეხვედრა ფიგურირებდა, რაღაც წერილების სერიალის, შემდეგ წიგნის შექმნაზე იყო საუბარი.

მართლაც, სრულიად მოულოდნელად ჩემში გაჩნდა აზრი, შემექმნა სახელმწიფო მოღვაწეთა საგაზეთო პორტრეტების გალერეა. უცნაური იყო. პროფესიით ჟურნალისტი არა ვარ, მაგრამ 1996 წლის ივნისიდან საოცარი, დაუოკებელი სწრაფვა გაჩნდა წერისადმი, რაღაც თითქოს უხილავი ძალით შთაგონებული სახეების შექმნისათვის.

სწორედ 1996 წლის 7 ივნისიდან ერთი თვის მანძილზე იბეჭდებოდა „ედუარდ შევარდნაძე ბერმუდის, ჯოჯოხეთის სამკუთხედი თუ სიხარულის არქიპელაგი" მერე და მერე, მივდიოდი თუ მოვდიოდი ახალი სახეები, ახალი შტრიხები ჩნდებოდა. შემიძლია გაბედულად ვთქვა, რაღაც უხილავი ძალა მაკეთებინებდა ამას, უბრალოდ, არ შემეძლო არ გამეკეთებინა.

უცნაური რამეც ხდება. შესასრულებელი საკითხები თითქმის ერთი და იგივეა, საერთო ჯამში ალბათ 12-მდე! ყველა კარგია, ყველა იგვიანებს...

ვთქვათ ასეთი (ყველას ვერ დავწერ!) თემურის სტილს დავიცავ;

– უნდა შეხვიდე დიდი ადამიანის, ვთქვათ, X-ის (ვინაობა დაასახელა) გარემოცვაში. – გექნება სამსახური... (მითითებულია)!. შენი არჩევანი წინ წამოიწევს.

– დაიმახსოვრე სახელი ა. (სრულად ასახელებს). მისგან დიდი სიკეთე.

– ბინას შეიცვლი. დამატებით ბინას შეიძენ ზღვისპირეთში (ადგილს ასახელებს) (მეცინება... ყველაფერი ეს დაუჯერებელია).

– შენი ვაჟი განგადიდებს. (ამაზე მთელი პროგრამაა...) ჯერ ვერ დავიჯერებ, იგი 4 წლის და 6 თვისაა..

– ცხოვრების სიურპრიზი იქნება 3. (ასახელებს!) სენსაციებით!

– ... სიახლე (ასახელებს), შენი ხალხი მოვა...

– დამოკიდებულება საზღვარგარეთის ქვეყნებთან (შიფრავს რატომ და რისთვს... ასახელებს 5 ქვეყანას).

– 1998 წელი აფხაზეთში კულმინაციის წელია და... რიგი საკითხები.

ძალიან საინტერესო გამოდგა შეხვედრა 1996 წლის 28 დეკემბერს დღევანდელი გადასახედიდან. ის ამბობდა :„გახმაურებული ამბები დაიწყება 1997 წლის მაისიდან. დიდი ხალხის ჩამოყრაა მოსალოდნელი. (პროგრამა ბატონ შოთა კვირაიაზე. გადადგომით და ა.შ.) მეუღლის თბილისში გადმოსვლა, სხვა საკითხები. უფრო კონკრეტულად:

### პარაფსიქოლოგიური პარაგრაფები

– ფიფქია (ე.ი. მე (?!) ხვდება თოვლის ბაბუას. შენ და პირველი პირი პირისპირ!

– რაღაცით იხსნი პირველ კაცს (?!)

– მაოცებს შენი გაბედულება პირველ პირთან ქვეყნისა (?!)

– შენ ვისი დამარცხებაც გინდოდა, დამარცხდება (?!)

– უპირისპირდები ავთო, ავთანდილს, ცალკე სალაპარაკო თემა. ბევრი რამ გაირკვევა. არ შეგეშინდეს, შენთვის ცუდად არ დამთავრდება.

– მომავალში შენი მფარველობა ელოდება ობოლ ბაშვებს და... (პროგრამა!)

– შევარდნაძესთან შეხვედრაში ზებუნებრივი ძალები გეხმარებიან, რაღაც საოცარს იტყვი (!?)

– გენერალურ პროკურორთან გექნება შეხვედრა, რაღაცას ამტკიცებს (?!)

არის სხვა „ყოფითი" საკითხები...

ძალიან საინტერესოდ მეჩვენება 1997 წლის 3 ივნისის შეხვედრა, სადაც 62-მა (?!) საკითხმა წამოიწია წინ, რომელთაგან უკვე შესრულდა 23.

მაშინ მეცინებოდა, მაგრამ ახლა აბსოლუტურ სიმართლედ იქცა ასეთი რამ: „ვ[...]აც უგვანო (გვარით და სახელით!) არაფრის გამო დავიპი-

## საქართველოში ახალი ფენომენი გამოჩნდა...

### არ გჯერათ? მე მჯერა, — გამატარეთ!

რისპირდება პრესით დიდი დავა მოდის, სამართლებრივი კომისია იქმნება. საქმე სასამართლომდე მიდის და თითქმის ქრონოლოგიური სიზუსტით აღწერა ის, რაც მოხდა 1997 წლის 5 აგვისტოდან დღემდე...

იმედი მაქვს საბოლოო შედეგიც ისეთი იქნება რაც მიწინასწარმეტყველა. „შენ გვირგვინით ამთავრებ ამ საქმეს!".

ერთი ტკივილიანი მოვლენაც განვითარდა. 1996 წლის 28 დეკემბერს მკითხა:

– შენ ფეხმძიმედ ხომ არ ხარ? უარი ვუთხარი. ექიმის დასკვნა მქონდა, რომ დარღვევებია და სიმსივნურ წარმონაქმნზე მაქვს ეჭვიო(?!) ხაისათზეც შესაბამისად გახლით. თემურმა თქვა:

– თუ ჩემს ხედვას დაეჯერება, ტყუის ეგ დასკვნა, შენ შვილს ელოდები, ფრთხილად!

1997 წლის იანვარში წავედი ექიმთან (იმ ექიმის კაბინეტის ნომერი თვითონ მომცეს, დასკვნა მაქვს). გავიყოლე ბიძის ცოლი ქალბატონი აზა მდივანი. ექიმი გავაფრთხილეთ, მგონი რაღაც შეცდომაა, სხვისი დასკვნა გვაქვს, ძალიან გთხოვთ, მაქსიმალური ყურადღებით მოეკიდეთ ეხოსკოპიასო... ისევ დასკვნა, – „კისტა"... სიმსივნური წარმონაქმნი! დანა პირს არ მიხსნიდა. არადა.. 15 დღის შემდეგ... ნაყოფი მომწყდა, გოგონა ყოფილა!!! ახლა იმ ქუჩაზე გავლაც კი არ მსიამოვნებს. აიმ კაბინეტის ნომერს კი (ფული რომ გადამახდევინეს და სიმსივნური წარმონაქმნი მიწინასწარმეტყველეს (?!) დღესაც ვინახავ იმის დასტურად, რომ ხშირად ზოგიერთ ექიმს კარგი წინასწარმეტყველი სჯობია.

თემურის პოპულარობა დღითი დღე იზრდებოდა და ამისათვის პრესა და ტელევიზია არ დასჭირვებია. როცა მისი წინასწარმეტყველებების დიდი უმრავლესობა ზუსტად ახდა და 1997 წლის 24 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის სურვილით მას შევხვდი, უკვე უქლარ გავჩერდი. ჟურნალისტ გიგლა გობეჩიას ვუამბე ამის შესახებ და ძველი ჩანაწერებიც ვაჩვენე, ყოველ შესრულებისას ათასნაირი ფერებით რომ ვაჭრელებდი უბის წიგნაკს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მაინც მღრღნიდა ეჭვი: თემური მიცნობს, რა ვიცი, ეშმაკს არ სძინავს, იქნებ მშვენიერი ფანტაზიაა და ღვთის წყალობით ემთხვევა მოვლენები ერთმანეთს-მეთქი. აი, გიგლა კი... ცხოვრებაში, ალბათ არ უნახავს, კიდევ ერთ ცდას ჩავატარებ და...

1997 წლის 4 ოქტომბერს გიგლასთან ერთად ვესტუმრე თემურს. მერე გავიგე, რომ ისინი იცნობდნენ ერთმანეთს. ორივე ერთად ვიწერდით მის ნათქვამს და ყოველი შემთხვევისათვის (?!) ნაწერის ყოველ გვერდზე ხელს ვაწერდით. გიგლა ჩემს რვეულში, მე გიგლას უბის წიგნაკში. „გამოცდაზე" სამი საკითხი იყო: გიგლას პიროვნება და ცხოვრება, ჩემი და ... საქართველო, პრეზიდენტი, მისი ოჯახი და საერთოდ მომავალი!!!

არ ვიცი, რა იქნება ხვალ და ზეგ, მაგრამ ჩემთან და გიგლასთან გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა. მაშინ გავიგე თემურისგან, რა ერქვა გიგლას მეუღლეს, შვილს, რომ ცოლს ახალი „სასიამოვნო ავადმყოფობა" ელოდა... დანარჩენს არ ვიტყვი, უფლება არა მაქვს შევიჭრა მის ცხოვრებაში. პირიქით, დიდი მადლობა, რომ უფლება მომცა დავსწრებოდი მასზე საუბარს (მეც ანალოგიური გავაკეთე, გამოცდაზე ვიყავით (!) და უფლება მაქვს თვალი ვადევნო მის მომავალს.

სწორედ მაშინ დაიბადა აზრი, რამდენიმე შეკითხვით მიმემართა ახლადაღმოჩენილი უნიჭიერესი ახალგაზრდა კაცისთვის, ჩემი ძველი მეგობრისთვის, დღეს სხვაგვარად მოაზროვნე და მოფიქრალი ფენომენისათვის.

ვინა ხარ შენ, თემურ ბატონო?

– მე დღეს თემურ ჩიტაშვილი ვარ. ფრანგული ენის სპეციალისტი, ვიცი სხვა ენებიც... მყავს მეუღლე მარინა, ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ორი ვაჟი: უტა და გიგა. გუშინ რა ვიყავი, შენც იცი...



მართალია... ვიცი! სწავლობდა კასპის სკოლა-ინტერნატში, უმამოდ იზრდებოდა. V კლასამდე მას იცნობდნენ თემურ არაგვარიძედ (!). დაამთავრა წარჩინებით. პირველივე წელს მოეწყო თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში ფრანგული ენის ფაკულტეტზე. იყო მასწავლებელი, სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, სკოლის დირექტორი. ნიჭიერი ორგანიზატორი და ბრწყინვალე სპეციალისტი, საუცხოო ძმა, შვილი, მამა, მეუღლე, მეგობარი...

– თემური როგორ ფიქრობ, საიდან მოდიხარ შენი საწყისი სასწაულებით. რა ერქვა და რას უწოდებ შენს დღევანდელ თუ გუშინდელ სამყაროს?

– ბავშვობიდან, ჩემო მაყვალა, შენი და ჩემი ბავშვობიდან. ჯერ ჩემი დაბადება იყო სასწაული. მერე ბავშვობა. სკოლა-ინტერნატი არასოდეს დამავიწყდება. იქ გატარებული წლები საუკეთესოა ჩემს ცხოვრებაში. იქ იყო ნამდვილი დემოკრატია, თითოეულის შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება. იქ არავინ იჩაგრებოდა. ეს ზღაპრული სამყარო იყო თავისი კეთილი ფერია მასწავლებლებით, ვაჟკაცი და რაინდი კაცებით, ფიფქია გოგონებით და უფლისწულებით. კმაყოფილი ვარ, ჩემი ბავშვობა რომ იქ გავატარე. არ დავკომპლექსებულვარ, თუმცა იყო ამის საშიშროება ჩემი დაბადების გარემოებათა გამო. ბედნიერი ვარ, რომ ცხოვრების საუკეთესო წლები გავატარე იმ პატარა მშვენიერ „სახელმწიფოში", კასპის სკოლა-ინტერნატი რომ ჰქვია. ვიყავი ჩვეულებრივი ბავშვი, პატარ-პატარა ახირებებით, აკვიატებებით. გავხდი „არაჩვეულებრივი"!!! ხომ მეთანხმები?

– გეთანხმები, უფრო მეტიც, თუ ვინმეს სურს ჩამოაყალიბოს პატარა, სამართლიანი და მშვენიერი სახელმწიფოს მოდელი, ვურჩევდი ამ კოლექტივს შეხვდეს და ერთი თვე „სემინარები გაიაროს". ის ულამაზესი სამყარო იყო. ახლა რომ ასეთი ქვეყანა იყოს საქართველო...

– იცინის... კი, როგორ არა, უფასო სწავლა, კლასგარეშე მეცადინეობა, თავისუფალი დროის ორგანიზაცია, მუსიკა, ცეკვა, ხატვა... სპორტი, – ყველაფერი უფასო, კვება, ჩაცმა. მე მეცოდება დღევანდელი ბავშვების დიდი უმრავლესობა. ჩვენ ხომ ფული არ გვქონდა? იყო გული, სიწმინდე, ნიჭიერება. ასეთი პოლიტიკით ძალიან ბევრ ნიჭიერ ბავშვს, მომავალს დაკარგავს ქვეყანა. ჩემს სკოლას კი... მე მას წმინდათა სკოლას ვუწოდებდი. იყო ეკონომიური გაჭირვება, და არავითარ შემთხვევაში სულიერი, დიდება იყო ჩემი ბავშვობა!

– სკოლის იქით ტკივილიანი იყო შენი ბავშვობა?

– ვიტყოდი არა! ყველას თუ არ ვუყვარდი, ისინი მადმერთებდნენ, ვინც სიცოცხლე მომანიჭა, გამზარდა...

– თემურ, გოგონებთან მეგობრობდი, მათაც ძალიან უყვარდი. ბიჭებს შურდათ..

– კი, მაგრამ... ეს შური კარგად იცი ბოროტი არ იყო. მე მათი „სასწრაფო დახმარება" ვიყავი. მათი უძილო ღამეების, სიყვარულის მესაიდუმლე. ვის ვინ უყვარდა, მე მანდობდნენ და... იცინის, ხომ გახსოვს, ამის გამო რამდენი პრობლემა მქონდა.

– შენ მამას არ იცნობდი...

– უმამოდ გავიზარდე. ჩემთვის დედაა რეალობა, მამა ღმერთია ჩემი.

– მე დღემდე არ ვიცი თემურ... უბრალოდ, არასოდეს მიმიცია ჩემი თავისთვის ამის უფლება. მე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ დედას უყვარდა შენი მამა...

– დავიბადე იანვრის თვეში, 1953 წლის 1 იანვარს (სტალინი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, იცინის!), თიაში, სახლის სხვენში!

– ხუმრობ?

– არა, არა! ეს ჭეშმარიტებაა!

– სოფელში ყველამ იცის ჩემი ბიოგრაფიის შესახებ. არ ვმალავ, არც დამიმალავს. ჩემი მხსნელი ღმერთი იყო და ის ქალი, ვინც ღვთის ნებას ასრულებდა!

მამა არასოდეს დამიძახია. არ მახსოვს. მხოლოდ ის ვიცი, დედას რომ დასდევდნენ...

– რისთვის?

– სიყვარულისთვის, ერთგულებისთვის, ტკივილისათვის. იმისათვის, რომ თავისი სხეულით ჩემს სიცოცხლეს ატარებდა. არ გათხოვილა...

– უყვარდა, ალბათ.

– იქნებ დღემდეც, ალბათ! დედას მეუღლე ომში დაეკარგა. ორი პაწია გოგონა დარჩა. მერე? სიყვარული ეწვია მალულად და ფარულად. მერე მე გავჩნდი... ქორწინება? სიყვარულს ფარატინა ფურცელი ვერ შეაჩერებს. არც მე ვთელი რამედ. მამამ გვარი არ მომცა. დედამ თავისი გვარით არ გამატარა. არადა, მშვენიერი გვარია, სიდამონიძე. V კლასამდე არაგვარიძე ვიყავი, დედა დარდობდა მეჩაგრებაა, შვილიო, მაგრამ ვიმეორებ, მე სკოლა-ინტერნატში ეს არ მიგრძვნია, ის სუპერსახელმწიფო იყო!!!

(გაგრძელება მე-11 გვ)

## გალაკტიონი 104

# „გალაკტიონმა ჩაგვახედა საკუთარ სულშიც"...

17 ნოემბერი ბუმბერაზი პოეტის გალაკტიონის დაბადების დღეა... ეს თარიღი ძვირფასია ყოველი ჭეშმარიტი ქართველისათვის. წელიწადის ამ დროს კიდევ მერამდენედ თავს გვახსენებს გალაკტიონის გენია და ჩვენც, დიდი თაყვანისცემით, პატივს მივაგებთ მის უკვდავ პოეზიას.

წელს გალაკტიონის დაბადების 104 წელი სრულდება. ერთი საუკუნე და ცოტა მეტი... დროის სვლა მოვლენებს ასხვაფერებს და ჩვენც თანამედროვეობის ყალიბში ვათავსებთ მისი პოეზიის გაუხუნარ ფურცლებს.

გთავაზობთ ნაწყვეტებს, ჩვენეული ინტერპრეტაციით, გურამ ასათიანის წერილიდან „გალაკტიონ ტაბიძე",

### გალაკტიონი და ადამიანები

ის ჩვენთან ცხოვრობდა, ჩვენს შორის დადიოდა.

უყვარდა გამვლელების გაჩერება, მათთან უცნაური საუბრის გაბმა.

ახალგაზრდები სიამოვნებით უჩერდებოდნენ მას, ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ, თავაზიანად ილიმებოდნენ მის ირონიულ შენიშვნებზე.

მათ რასაკვირველია ბოლომდე არ სჯეროდათ, რომ ეს კაცი იყო „მთაწმინდის მთვარის" ავტორი, მეფე პოეტი, მათი ფიქრისა და ოცნების მესაიდუმლე.

გალაკტიონ ტაბიძე
გენდად...
საოცარი ბედი ხვდა
ლარ ცნობდნენ თვით
რადგან იგი მიუწვდო-
ბრივი მხედველობი-
მხოლოდ სიკვდილმა
ხე და ვიდრე მიწას მი-
კვლავ იხილეს და იცნეს



სიცოცხლეშივე იქცა ლე-

წილად ამ კაცს, მას ვე-
უახლოესი ადამიანებიც,
მელი იყო მათი ჩვეულე-
სთვის.
დაუბრუნა მას თავისი სა-
აბარებდნენ ადამიანებმა
იგი...

### გალაკტიონი და პოეზია

მან პოეზიაში პირვე-
რებისა და ნახევარტო-
ნახული ჰორიზონტები
თითქოს თავიდან ალ-
ყაროს გამოსახატავად.
ის იყო უტყუარი, აბ-
ტი, მის მუსიკალურ გე-
თუ შინაგანი, ნამდვი-
ბის თვალით წარმოდ-
დიების ენაზე გადაშქო-

ლმა დაიწყო ახალი ფე-
ნების ძიება და ჯერარ-
გაუხსნა მას ადამიანის
მოჩენილი სულიერი სამ-

სოლუტური სმენის პოე-
ნიას ყოველივე გარეშე
ლად ხილული თუ ოცნე-
გენილი პოეტური მელო-
ნდა.

### გალაკტიონი და ეპოქა

გალაკტიონის მოსვლა ქართულ მწერლობაში დაემთხვა ჩვენი საუკუნის ყველაზე მძიმე ხანას, რომელმაც საბედისწერო გავლენა მოახდინა მთელი ლიტერატურული თაობის შეგნებაზე.

თუ XIX საუკუნე მიუხედავად ყველა თავისთავად აუტანელი, სულის შემხუთავი ობიექტური პირობისა, ქართულ მწერლობაში იყო დიდი სულიერი სიმხნევისა და მსოფლმხედველობრივი ოპტიმიზმის ეპოქა — მეოცე საუკუნის დასაწყისში ცხოვრების სარბიელზე გამოსული ახალი ლიტერატურული თაობის თვალწინ თითქმის ერთიანად და სამუდამოდ დაემხო წინამორბედთაგან ნაანდერძევი ყველა იმედი და ილუზია.

გალაკტიონ ტაბიძეს წილად ხვდა ბოლომდე შეესვა ამ საბედისწერო შეკრთომის შხამიანი თასი.

### გალაკტიონის ისტორიული შეფასება

### გალაკტიონი არის ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენიის აპოლოგია

რედაქციის მინაწერი: სამწუხაროდ, თბილისში დღემდე არ არსებობს გალაკტიონის მუზეუმი, როგორც ყველაფერს, ამასაც თავისი მიზეზი აქვს, რომლის შესახებ ბევრჯერ დაიწერა გაზეთებში და საკმაო გულისტკივილითაც.

ჩვენც ვუერთდებით მათ გულისთქმას და ვისურვებდით, რომ დროულად მოებას თავი ასეთ საშვილიშვილო საქმეს.

გალაკტიონი იმდენად მარტოსული გახლდათ, იმდენად თავისებური და განსხვავებული – მასთან დაახლოება და გაშინაურება, მისი გაცნობა და შეცნობა შეუძლებელი იყო.

ვეება მხრებით დაატარებდა თავის მარტოობას, უჭირდა სხვასთან დაკავშირება და დაახლოება.

პოეტურმა ტალანტმა ისე მიისაკუთრა და ამოწურა მთელი მისი ადამიანური შესაძლებლობა, რომ კომპენსაციის არავითარი საშუალება აღარ დატოვა.

ცდილობდა და ვერ ახერხებდა, თუნდაც უახლოესი ადამიანებისათვის მაინც გაეღო გულის კარი და ეს იყო მისი დიდი ტრაგედიის ერთი მხარე.

ფინანსების სკალა ხასიათებივით სწრაფად ეცვლებოდა.

როგორ მწარედ ხუმრობდა ხოლმე: ფული, ეს წყეული ფული!

რასაც ფიქრობდა, წერდა, იშვიათი შემთხვევაა: ყველაფერს წერდა.

წერდა ყველგან და ყოველთვის: სახლში, აკადემიაში, მწერალთა კავშირში, ქუჩაში, ბაღში...

* * *

ხატავდა კიდეც.

რასაც მოისმენდა და ყურს მოჰკრავდა, ისიც ქაღალდზე გადაჰქონდა.

არ უჯერებდნენ, თორემ ამბობდა კიდეც: ათ ტომად მაქვს დაწერილი ჩემი ცხოვრებაო.

მართლაც, ჩანაწერები და დღიურები პოეტის ცხოვრებასავით დაულაგებელი და ფრაგმენტულია, ხანდახან ზედმეტად აღტაცებული, ალაგ-ალაგ უკიდურესად უიმედო:

– რამდენ ძალას ვგრძნობ, რამდენ ნიჭს, რამდენ ღირსებას ჩემში: არტისტულს, შვენიერს, უსათუოდ შვენიერს!

– ეს წელიწადი ღმერთმა სიცოცხლედ უნდა ჩამითვალოს? ესაა სიცოცხლე?

– სალამი ჩემს ბრწყინვალე მომავალს, მე მასში ოდნავი ეჭვიც კი არ მეპარება.

– არ ვიცი, ისევ შემიყვარებენ თუ არა, ვიქნები მე საქართველოსთვის იგივე გალაკტიონი, როგორიც ვიყავი ოდესმე?

ოციანი წლების დასაწყისში თვითონ და-



წვა თავისი ხელნაწერები, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა მდიდარი და საინტერესო მასალა განადგურდა:

„დავკარგე ყველაფერი, რაც მიწერია ბავშვობიდანვე"...

* * *

როგორც ირკვევა, გალაკტიონის ლექსების პირველი და ერთადერთი მკითხველი და შემფასებელი ოლია გახლდათ, მაშინაც კი, როცა ერთად არ იყვნენ:

– ლექსები დავწერე ბევრი, ოლია, მეორე წერილში გამოგიგზავნი...

ოლია შემოქმედებითი ეგზალტაციის ჟამს მოევლინა და დაემგზავრა გალაკტიონს. მან პირველმა იგრძნო და იწამა გენიის სიდიადე.

„საზოგადოება ვერ ითმენს ადამიანს, რომელიც მას არ ჰგავს"

ეს ალსარება 1941 წლის 3 მარტს დაიწერა.

დათრგუნული და იმედგადაწურული ისევ ხასმელს მიეძალა.

ამგვარ დღეებში თვით შთაგონების წუთებიც კი ვერ გამოიტყუებდნენ მწუხარების კატაკომბებიდან.

– უკეთესია ყაჩაღი იყვე, ვიდრე პოეტი

– სილარიბე – ლიტერატურული კატორღა.

მთრისეში ხასიათისათვის

რაშია საქმე? – ხშირად გვეკითხებოდა დაბნეული და დაეჭვებული.

* * *

ბლოკნოტებში და რვეულებში ზოგჯერ გამხმარი ფოთლები და დამჭკნარი ყვავილები აწყვია.

აკაციის ხეს მეგობარივით შეჰხაროდა.

„ვინახავ სახსოვრად აკაციის 42 ყვავილს" – ეს აღტაცება საფოსტო კონვერტზე წაუწერია. კონვერტში ამჟამადაც აწყვია 42 ყვავილი, 34 წლის 42 ყვავილი!.

* * *

ლიტერატურულ მუზეუმში ერთად ვათვალიერებდით ფოტოებსა და ხელნაწერებს.

უმეტესად მარტო შემოგვყურებს, როგორც ცხოვრებაში.

მისი ფოტოსურათები ადასტურებენ: სახე ფოტოგენური ჰქონდა...

* * *

გალაკტიონის არქივი მდიდარი წყაროა არა მარტო ტექსტოლოგებისათვის.

ხელნაწერებში ბევრი ნახატი და ჩანახატია გაბნეული.

ხატავდა ფანქრით, კალმით, საღებავებითაც!

საკუთარი წიგნის ყდებსა და ტიტულებსაც ხშირად ხატავდა;

დღიურებისა და ჩანაწერების ვიზუალური მხარე ცალკე საუბრის თემაა

გალაკტიონის გრაფიკა!

ზოგიერთი აშკარად აღემატება მოყვარულის დონეს, მეტიც, ვიდრე დიდი ტალანტის უბრალო გატაცება.

მეორე მუზაც გულუხვად სწყალობდა.

* * *

ნასვამი ბევრჯერ მინახავს...

რედაქციაში არასოდეს შემოსულა.

ამ დროს საქმიან ვიზიტებს ივიწყებდა.

მთელი სიცოცხლის მანძილზე გაურბოდა ბახუსის მიმზიდველ ღიმილს:

– ძირს ნიკოტინი, ძირს ღვინო!

იფიცებოდა და პირობას სდებდა:

– კარგია ფხიზელი სითამამე!

სხვებსაც საყვედურობდა: 1952 წლის 22 მაისს მწერალთა კავშირში საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მდივანს მოუსმინა, სტუმრად ჩამოსულს, შეატყო ნასვამი რომ იყო, და სასტიკად აღშფოთდა:

როგორ ჰკადრა თავის თავს საქართველოს მწერალთა წინაშე მთვრალი გამოსულიყო?

სიფხიზლე ერჩია, მაგრამ მძიმე წუთებში თავშესაფარს ეძებდა, უარეს თავშესაფარს, და იქით გარბოდა თავისი ნებასურვილის წინააღმდეგ, თუმცა ვერც აქ პოულობდა ყოველთვის სულიერ სიმშვიდეს:

ღამე, ეს ღამე ტიალი,
ღვინით ვერ გავიხალისე.

* * *

ლექსს თავისებურად კითხულობდა: ნერვიულად, აჩქარებით, სულმოუთქმელად, ერთი ამოსუნთქვით, თითქოს მხოლოდ თავისთვის, ანდა მათთვის, ვინც ზეპირად იცოდა.

დეკლამაციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, თუმცა ამახაც შენიშნავს:

პოეზია არ არის დეკლამაცია.

1924 წელს მაჯამა აუწყვია – მწარე და ირონიული (თარიღს მიაქციეთ ყურადღება!).

ეს ვალიას, ეს თედორეს,
ეს ტარიელს, ეს კი მოსეს,
ჯერ ვითვლებით ქართველებად, თუ არ გაგვაესკიმოსეს.

* * *

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, სხვებს არ ჰგავდა, და დიდად აღემატებოდა სხვებს, რის გამოც ბევრი მტერი შეიძინა.

და მაინც ვინ იყო იგი?

რომანტიკოსთა სკოლის პირველი კლასის მოსწავლე! – ირონიულად პასუხობს თვითონ.

– დიდი ბავშვი – ახასიათებს მეუღლე!

– უცნაურ ვარსკვლავზე დაბადებული დიდი ადამიანი და გულუბრყვილო ბავშვი! – აზუსტებს ძმა.

სხვა იყო.

სხვანაირად გრძნობდა თავს.

– თავს არასოდეს ისე არ ვგრძნობ, ვით გრძნობენ სხვები.

სხვანაირ სიზმრებს ნახულობდა.

– მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს.

სხვა ხმები ჩაესმოდა, სხვაგან იყო.

ეცადა, მაგრამ ძირს ვერ ჩამოვიდა.

მიწაზე ვერ დაადგა ფეხი.

ვერ დაგვემსგავსა...

თითქოს ერთ მშვენიერ დღეს ჯადოსნური ალქიმიკოსის საიდუმლო ხერხს მიაგნო.

თითქოს საუკუნოვან ნაკრძალში შეუშვეს.

თითქოს თავადაც იგრძნო:

დაიჯერა და გათამამდა – მე მთელ დედამიწას დუელში ვიწვევ!

* * *

გალაკტიონის შემდეგ ქართულ მწერლობას დარჩა გალაკტიონის მკაცრი გაკვეთილი:



პოეზია უდიდეს მსხვერპლს მოითხოვს!

ჭეშმარიტმა პოეტმა უნდა დაივიწყოს ხორციელი ინტერესები და არასოდეს არ უნდა გამოეთიშოს შთაგონების წამებს.

მან გვასწავლა, როგორ უნდა დავარღვიოთ პოეზიის კანონები – პოეზიის სასარგებლოდ!

ალბათ – ცხოვრების კანონებიც!

ბევრი საიდუმლოც ამოგვიხსნა.

კითხვის ნიშნებიც ბლომად დაგვიტოვა...

მისი მკითხველები ჯერ არ დაბადებულან!

## გალაკტიონის პიროვნება

**(გამოყენებულია ნაწყვეტები ვახტანგ ჯავახაძის წიგნიდან „უცნობი")**

გვერდი მოამზადა
**მიმოზა ქვირკვია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიალოგი

„მე მიწაზე კერძო საკუთრების გამოცხადების მომხრე ვარ. მხოლოდ ეს გზა მიგვიყვანს სასურველ მდგომარეობამდე, როცა მიწას შეეძლება არა მარტო ფიზიკურად გამოკვებოს მოსახლეობა, არამედ გადაიქცეს ერთ-ერთ ისეთ მძლავრ განვითარებად დარგად, რომელზეც დაემყარება დამოუკიდებელი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოს ბედ-იღბალი“ – წერდა გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ ფურცლებზე 1993 წლის 11 სექტემბერს ბატონი ანზორ მესხიშვილი.

ეს სიტყვები ითქვა მაშინ, როდესაც მიწა სახელმწიფოს კუთვნილებას წარმოადგენდა და მასზე კერძო საკუთრების მფლობელის უფლებები სადავო იყო. მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა. სახელმწიფოში წარმატებით გატარდა მიწის რეფორმა. შეიქმნა მიწის რესურსების მართვის ახალი ინსტიტუტი – მიწის მართვის გარკვეული სირთულეები შექმნა. ადგილი ჰქონდა სერიოზულ დარღვევებს, მიწის მიტაცების ფაქტებს სამცხე-ჯავახეთში, შიდა ქართლში, იმერეთში, ქვემო ქართლსა და საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოები ამ საკითხებში იმდენად უუფლებონი და უავტორიტეტონი იყვნენ, რომ არსებულ მდგომარეობაზე კონტროლის გაწევა, დარღვევათა აღკვეთა შეუძლებელი იყო.

საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 13 ნოემბრის კანონითა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 დეკემბრის № 836 ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი. ეს მეტად დროული და საჭირო გადაწყვეტილება იყო. რაიონულ რგოლებში ადრე არსებული ერთი მიწათმომწყობის, შემდეგ კი ნაცვლად ლიკვიდირებული ორკაციანი კადასტრის განყოფილებისა, შე-

(იჯარა) დაიტოვოს და გადასახადიც შესაბამისად იხადოს. სხვათა შორის, მიწის იჯარით აღების უფლება ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს აქვს მაქსიმუმ 49 წლით.

*– მიწის რეფორმის მიმდინარეობის პერიოდში საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მიწის გადაცემასთან დაკავშირებით უკმაყოფილებას გამოთქვამს. წერენ საჩივრებს გაზეთის რედაქციებში. სასამართლოებსა და სხვა ინსტანციაში. რა არის ხალხის უკმაყოფილების მთავარი მიზეზი?*

1917 წლის რევოლუციის შემდეგ მიწაზე ნაციონალიზაცია გამოცხადდა. 1997 წლის 22 მარტს მიღებულმა კანონმა მიწის საკუთრების შესახებ, ფაქტობრივად, უსისხლო რევოლუცია მოახდინა. სამწუხაროდ, საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილი ამ კანონს კარგად არ იცნობს და არ იცის თავისი უფლებები მიწასთან დაკავშირებით. ზოგიერთი სოფლის ხელმძღვანელი და გადახდა, რადგანაც მიწის მიღების დოკუმენტალურად გაფორმებისათვის კარტოგრაფიული და სამიწათმოწყობო სამუშაოებია ჩასატარებელი. ამ საქმეს სულ ცოტა 2-3 დღე სჭირდება, და მიწის ფართობის მიხედვით 8-28 ლარამდე ღირს. ამდენად, რა თქმა უნდა, ეს არ არის მიწის ფასი, ეს გახლავთ იმ ადამიანთა შრომის ანაზღაურება, რომლებიც აფორმებენ შესაბამის დოკუმენტაციას.

*– ბატონო ანზორ, სამცხე-ჯავახეთი, სოციალური თვალსაზრისით ერთ-ერთი რთული რეგიონია. როგორ ვრცელდება, ან უფრო ზუსტად, როგორ სრულდება პარლამენტის მიერ მიღებული კანონები მიწის საკუთრებისა და იჯარის შესახებ?*

– ამ რეგიონის თითოეულ რაიონში სხვადასხვაგვარი მდგომარეობაა. კერძოდ, ახალციხის რაიონში მიწის რეფორმა კარგად მიმდინარეობს. 8700 ჰა მიწა ყოველგვარი ექსცესის გარეშე გაცემულია კერძო საკუთრებაში, 4100 ჰა კი იჯარით.

რაც შეეხება ადიგენის რაიონს; 1989-1990 წწ ჩატარებულმა მიწის რეფორმამ გარკვეული სირთულეები შექმნა. ვერც 1992 წლის საქართველოს მთაერობის დადგენილებით გათვალისწინებული რეფორმა განხორციელდა ჯეროვნად. ამჟამად მდგომარეობა უმჯობესდება.

უმძიმესი მდგომარეობაა ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში, რადგან რეფორმა კანონის დარღვევით განხორციელდა. ახალქალაქში ნაცვლად იმისა, რომ ნორმით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთი გამოეყოფოდათ კომლებს (ოჯახებს), გამოეყოთ სულადობის მიხედვით. ეს, ფაქტობრივად, მიწის დატაცებაა და სხვა არაფერი. დეპარტამენტის ხელმძღვანელობის დროული ჩარევის შედეგად სურათი იცვლება.

*– სურათის შეცვლაში რას გულისხმობთ?*

– ახალქალაქის რაიონში 3500 ჰა მიწა აქვს მოსახლეობას მიტაცებული. დღეისათვის უკვე მიმდინარეობს მიწების ინვენტარიზაცია, დგინდება საკარმიდამო ფართობები, ზუსტდება მიწის მიმღებ კომლთა კატეგორიები და ვიდრე არ მოხდება კანონის შესაბამისად მიწის გადაცემა, მანამ მათზე სახელმწიფო მიწის მიღება-ჩაბარების აქტები არ გაიცემა.

სამწუხაროდ, აღნიშნულ რაიონში სრულყოფილად არ ხორციელდება საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“. სავარგულები იჯარით არ გაცემულა და, ფაქტობრივად, კანონის თანახმად შექმნილი სასოფლო-სამეურნეო მიწების იჯარით გამცემი მუდმივმოქმედი კომისია არ მუშაობს.

ანალოგიური მდგომარეობა იყო ნინოწმინდის რაიონშიც. ხოლო რაც შეეხება ასპინძისა და ბორჯომის რაიონებს, აქ ეს პროცესი შედარებით უკეთ მიმდინარეობს.

*– ხმები „დადის“, თბილისის შემოგარენში, კერძოდ კი ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილი აქვს უკანონო მშენებლობას და დასახლებას-ო. ამის შესახებ რას გვეტყოდით?*

– მთელი ნაძალადევი ასე უკანონოდაა გაშენებული. ეს წინათ. მაგრამ დღეს, თუ ვინმე უკანონოდ დასახლდება თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის და მერიის შესაბამისი დადგენილება-ნებართვის გარეშე, კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა და სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის შესაბამისად გათვალისწინებული 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. საჭიროა ამ მიმართებით კონტროლის გაძლიერება. თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა თბილისის და თბილისისათვის დადგენილი საზღვრების ფარგლებში უნდა აღკვეთონ ყოველგვარი უკანონო ქმედება, მშენებლობა იქნება ეს თუ მიწის დაკავება.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მომზადებულია საქართველოს კანონი „არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შესახებ“, რომელსაც ამჟამად იხილავს პარლამენტი და მისი მიღების შემდეგ ყველა სახის მიწით სარგებლობის საკითხი დარეგულირდება.

# ქართულ მიწას უპატრონოდ ვერც ფარულად და ვერც ოფიციალურად ვერ დაისაკუთრებს...



სახელმწიფო დეპარტამენტის სახით. ამ ხნის მანძილზე პარლამენტმა მიიღო ისეთი ფუნდამენტალურ-ნორმატიული დოკუმენტები, როგორიცაა კანონი „ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“. კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, კანონი „მიწის რეგისტრაციის შესახებ“. სულ ახლახან კი „სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“. ჩვენ გავითვალისწინეთ ამ პრობლემის აქტუალობა და ინტერვიუ ვთხოვეთ ციტირებული სიტყვების ავტორს, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის საადგილმამულო დავების რეგულირების სამმართველოს უფროსს, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატს ბატონ ანზორ მესხიშვილს.

*– ბატონო ანზორ, პრესაში განგაშია ატეხილი. ხშირად იბეჭდება წერილები ქართული მიწების განხვისების, უკანონოდ გაყიდვის შესახებ. გაზეთ „მანსში“ დაბეჭდილ გარდაბნის რაიონის სოფელ გაჩიანში მცხოვრებ ალიბეგ ოჯახვერდოევის წერილიდან მოვიტან ციტატას: „ის, რაც ჩემს რაიონში და ჩემს რეგიონში (ქვემო ქართლში) ხდება, საგანგაშოდ მიმაჩნია. საქმე ეხება ქართული მიწების უკანონოდ გაყიდვას. ერთი სამოსახლო ათასიდან სამი ათას დოლარამდე ღირს. ძალიან ბევრი მიწა გაიყიდა...“ რა იგულისხმება ამ გაყიდვაში და ნამდვილად ედგავართ თუ არა ქართული მიწების დაკარგვის საშიშროების წინაშე?*

– ცოტა შორიდან დავიწყებ. 1989-1990 წლებში საქართველოს ოთხ რაიონში – ადიგენში, ხარაგოულში, ამბროლაურსა და მესტიაში ექსპერიმენტი ჩატარდა. იქ არსებული საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები გაუქმდა და მიწები გლეხებს გადაეცათ. ანუ, შეიქმნა რესპუბლიკაში პირველი ფერმერული მეურნეობები. გადაცემული მიწის ფართობის სიმცირის გამო, ფართო ფერმერული მეურნეობის წარმოება ვერ მოხერხდა. ამას პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაც დაემატა, ამიტომ რეფორმა საფუძვლიანად ვერ განხორციელდა. 1992 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებათა საფუძველზე, დაიწყო მიწის ახალი რეფორმა პრივატიზაციის სახით. ფაქტობრივად, ეს გახლდათ არსებული საკარმიდამო ნაკვეთების შევსება - გაზრდა, დაწესებული ნორმების მიხედვით. რეფორმა სამოქალაქო ომის ფონზე მიმდინარეობდა, რამაც იქმნა მიწის მართვის რაიონული სამმართველოები. მათ დაუმტკიცდათ დებულება და მიეცათ უფლება გააკონტროლონ, აღრიცხონ და დაარეგულირონ მიწათსარგებლობის საკითხებთან დაკავშირებული ყველა პრობლემა. დღეისათვის დამთავრებულია აღნიშნულ სამმართველოთა დაკომპლექტება, მიმდინარეობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და იმ ნაკლოვანებების გამოსწორება, რომელთაც ადგილი ჰქონდა 1993-1994 წ.წ.

რაც შეეხება კონკრეტულად თქვენს შეკითხვას. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს ქართული მიწის კერძო საკუთრებაში მიღების არანაირი შესაძლებლობა არ გააჩნია. დღეს მოქმედი კანონი მიწის საკუთრების შესახებ იმდენად სრულყოფილია, რომ არათუ ოფიციალური, ფარული გზებითაც კი შეუძლებელია მიწის უკანონოდ დასაკუთრება. ზემოხსენებული ოჯახვერდოევის შესახებ კი ამას ვიტყოდი: ის, ვინც ქართული მიწის გაყიდვაზე ასე ცხარედ კამათობს, მას ან პირადი ინტერესი ამოძრავებს, ან სხვის დაკვეთას ასრულებს.

*– პიროვნება საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შემთხვევაში კარგავს თუ არა მიწაზე საკუთრების უფლებას?*

– რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება ხდება სხვა ქვეყნის მოქალაქე, უფლება აქვს კუთვნილი მიწა გაყიდოს, ან გააჩუქოს მხოლოდამხოლოდ საქართველოს მოქალაქეზე. ან, უკიდურეს შემთხვევაში, დროებით სარგებლობაში ადგილებზე უშუალოდ მიწის რეფორმის გამტარებელი ამას ბოროტად იყენებს, ანდა არცოდნის შედეგად სერიოზულ შეცდომებს უშვებს. ამ დარღვევათა თავიდან ასაცილებლად ხდება რეგიონების, რაიონების, მიწის სამმართველოს მუშაკების, სოფლის საკრებულოების მიწათმომწყობთა კვალიფიკაციის ამაღლება, რისთვისაც ჩვენს დეპარტამენტში შემუშავებული იქნა პროგრამა. აგრეთვე, აუცილებელია მოსახლეობის ინფორმირება. ამ საქმეში საინფორმაციო საშუალებები უნდა დაგვეხმარონ. კიდევ ერთი. პარლამენტმა მიწის საკუთრებაში გადაცემის დოკუმენტალურად გაფორმების ვადა ორჯერ გააგრძელა. 1998 წლის 22 მარტს მიწის საკუთრებაში გადაცემა საბოლოოდ შეწყდება. ამის შესახებ ცოტამ თუ იცის. ამიტომ, გაცნობებთ: მოქალაქეს, ვისაც მიღებული აქვს მიწა საკუთრებაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, და არ გაუფორმებია, არ მიუღია იგი მიწის მიღება-ჩაბარების აქტით, დროულად მიმართონ რაიონის მიწის მართვის სამმართველოების დღემდე არსებული გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

*– მიწის საკუთრებაში გადაცემისას მოქალაქე იხდის გარკვეულ თანხას. „მიწა ვიყიდეთო“ – ამბობენ...*

– მართალს ბრძანებთ. მოსახლეობა თვლის, რომ მიწას ყიდულობს, სინამდვილეში კი მიწა უფასოდ გაიცა. როგორც აღვნიშნეთ, მიწის საკუთრებაში გადაცემა უნდა გაფორმდეს სახელმწიფოს მიღება-ჩაბარების აქტით. ამასთან, საჭიროა გარკვეული თანხის

ესაუბრა

**ია აბუაშვილი**

## ხარისხი

**ამ პუბლიკაციით გვინდა საუბარი დავიწყოთ ქართველთა ნახელავ-ნამუშევრისთვის ძველი დიდების დასაბრუნებელი გზების ძებნაზე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხარისხიანი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნის აუცილებლობაზე.**

**დღეს სასაუბროდ ვიწვევთ სასტანდარტის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციის განყოფილების უფროსს ლიანა ლუდუშაურს.**

# მოითხოვეთ სერთიფიკატი

*ახლა ქართველთა ოცნება, მსოფლიო ბაზარზე გასვლის ოცნება. მხოლოდ ოდნავ სხვა გზით, ჩვენი პროდუქცია კი არ გავიდა მსოფლიო ბაზარზე, არამედ თავად მისი ულიმიტებულობა მსოფლიო ბაზარი გვეწვია თავის ათასფრად აჭრელებული საჭმელ-სასმელებით, რეკლამებით, მომსახურებით, სიუხვით, თანდართული ჯერ სიხარულით, შემდეგ გაოცებით და ამჟამად დაბნეულობით. დაიბნა მომხმარებელი. რა იყიდოს, ვის ენდოს, სად ეძებოს ხარისხიანი და უსაფრთხო პროდუქცია, როგორ გაერკვეს მასმედიის უამრავ გაფრთხილებაში უხარისხო პროდუქციის მწარმოებელთა შესახებ, და კიდევ ბევრი სხვა. თუ შეზღუდული ბიუჯეტის მქონე თავად შეიძინოს პერსონალური კომპიუტერი მოზღვავებული ინფორმაციის გადასამუშავებლად.*

*შეიძლება ეს გზა ჯობდეს. თავად მომხმარებელი გავარკვიოთ იმ მოთხოვნებში რომელსაც ყოველი კონკრეტული პროდუქცია თუ მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს და რომლის დაცვაზეც პასუხისმგებელია მწარმოებელი და გამყიდველი. დავიწყოთ თუნდაც იმ პროდუქციით, რომელსაც მეტი მომხმარებელი ჰყავს და რომელიც ქართველთათვის არც თუ უმნიშვნელოა ეკონომიკური თუ სამომხმარებლო თვალსაზრისით.*

*ლუდი – როგორი უნდა იყოს იგი.*

ლუდი შეხედვისას უნდა იყოს გამჭვირვალე, ნალექისა და უცხო მინარევების გარეშე. მხოლოდ საკოლექციო ლუდებზე დაიშვება ნალექი ბოთლის კედლებსა და ფსკერზე. ფერი, არომატი და გემო კი თითოეული დასახელების ლუდის მიხედვით დამახასიათებელი უნდა ჰქონდეს.

ლუდის ხარისხი მარტო შეხედულებით არ ისაზღვრება. ლუდის ხარისხის მაჩვენებლებია, აგრეთვე, მასში სპირტის, შაქრის, მჟავეების, რკინის, სპილენძის, ტოქსიკური ელემენტების დასაშვები დონეების დაცვა. ყოველივე ეს კი დადგენილია ლუდზე მოქმედ სახელმწიფოთაშორისო სტანდარტში (7208-93, „ქერის ლუდები და ქერის ლუდისმასალები დამუშავებული. ზოგადი ტექნიკური პირობები“) და ამ სტანდარტის მოთხოვნების დაცვაში პასუხისმგებელია უპირველესად ლუდის დამამზადებელი. ნებისმიერი ხარისხიანი პროდუქცია შეიძლება უხარისხოდ იქცეს თუ დაცული არ იქნება მისი შენახვის პირობები. იგი უნდა ინახებოდეს კარგი ვენტილაციის მქონე შენობაში 8-დან 16-მდე გრადუს ტემპერატურაზე. ამ მოთხოვნებს კი დამამზადებლის გარდა გამყიდველიც უნდა იცავდეს. მომხმარებელმა დასაშვებია, არ იცოდეს ან არ უნდოდეს ყოველივე ამის დამახსოვრება. მაგრამ ერთი კი უნდა იცოდეს. იმისათვის, რომ დარწმუნდეს შემოთავაზებული პროდუქტის ხარისხსა და უსაფრთხოებაში, მან უნდა მოითხოვოს უსაფრთხოების და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი – შესაბამისობის სერთიფიკატი და მაშინ მას არ მოუხდება ბოთლის ეტიკეტზე ძიება იმისა, თუ ვის მიერ არის ლუდი დამზადებული, და სხვა, ვინაიდან სერთიფიკატზე ყოველივე ეს აღნიშნულია და დამატებით ისიც არის აღნიშნული თუ ვინ არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ პროდუქცია უპასუხებდეს სტანდარტით გათვალისწინებულ ხარისხის და უსაფრთხოების მაჩვენებლებს. სერთიფიკატი დადასტურებული უნდა იყოს სერთიფიკატის გამცემი ორგანოს ხელმძღვანელის ხელის მოწერით და „ცოცხალი“ ბეჭდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორშაბათი 17 ნოემბერი

7.30. „ალიონი“;
9.00. „სიყვარულის ისტორია“;
18.00. „მოამბე“;
18.10. ანონსი;
18.15. სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“;
18.30. მე-20 საუკუნე, დრო და ადამიანები;
18.45. „ექიმის მოსვლამდე“;
18.55. „50/50“;
19.55. რამპა;
20.00. „მოამბე“;
20.30. რეკლამა;
20.35. „ბასტი-ბუბუ“;
20.55. „პროფილი“;
21.10. ამინდის პროგნოზი;
21.15. „დინასტია“;
22.00. „ვესტნიკი“;
22.20. „ვიდეოპატრული-02“;
22.30. „აქცენტი“;
23.10. საფეხბურთო მიმოხილვა;
23.30. ქართული მხ.ფ. „არსენა“;
0.00. „მოამბე“.

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი“;
19.20. მულტფილმები;
20.00. „საყმაწვილო დღიური“;
20.30. „სიყვარულის ამბავი“;
21.15. მოსკოვი-თბილისი;
21.35. „არაჩვეულებრივი გამოფენა“;
21.40. „ინფორმაცია მეორე არხი“. რეკლამა;
22.05. ინგლისური მხ.ფ. „ოთხი ქორწილი და დაკრძალვა“.

7.00. 8.00. 8.30. „კურიერი“;
8.10. მულტსერიალი „სიმპსონები“;
9.00. „სიყვარულის უფლება“;
10.00. „რობოკოპი“;
18.00. კურიერი;
18.15. დოკ.ფ.;
19.05. მანუნა;
19.35. „მეზობელი გოგონები“;
20.00. „სიყვარულის უფლება“;
21.00. კურიერი;
21.30. მხ.ფ. „თავზეხელაღებული“;
23.20. „ლოს-ანჯელესის კანონი“;
0.10. კურიერი;
0.20. რუსული მხ.ფ. „ხუთი საღამო“.

11.00. განვარჯიში;
11.30. მულტფილმები;
12.15. დოკ.ფ.;
13.00. „პოსტ-ფაქტუმი“;
13.15. მუსიკა;
13.30. ამერიკული მხ.ფ. „ღამის მგელები“;
15.05. მუსიკა;
15.30. სპექტრი;
16.45. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“;
17.30. „პოსტ-ფაქტუმი“;
18.00. მუსიკა.

18.40. "Космическая полиция" _ сериал;
19.05. До шестнадцати и старше;
19.30. Сериал "100 лет приключений";
20.20. "Девушка по имени судьба";
21.00. Погода;
21.10. Час пик;
21.35. Телеигра "Угадай мелодию";
22.00. Программа В Познера "Мы";
22.45. Спокойной ночи, малыши!;
23.00. Время;
23.40. Сериал "Польтергейст";
0.50. Михаил Ульянов в программе "Театр+ТВ";
1.35. Худ.фильм "Девушка без адреса",

## სამშაბათი 18 ნოემბერი

7.30. „ალიონი“;
9.00. „დინასტია“;
9.45. „სიყვარულის ამბავი“;
18.00. „მოამბე“;
18.10. „ენერგეტიკა“;
18.20. „მესაკუთრე“;
18.35. „ირაო“;
19.10. „XXI“;
19.30. კამერატონი;
19.45. ლატარია „იბერია“;
20.00. „მოამბე“;
20.30. რეკლამა;
20.35. „ბასტი-ბუბუ“;
20.55. „პროფილი“;
21.10. ამინდის პროგნოზი;
21.15. „დინასტია“;
22.00. „ვესტნიკი“;
22.20. „ვიდეოპატრული-02“;
22.30. „ასპარეზი“;
22.40. ილია ჭავჭავაძე-160 წლისთავი;
23.00. „რეტროპერსპექტივა“;
23.50. „მოამბე“;
0.00. ამერიკული მხ.ფ. „კვირა დღე ბუნებაში“.

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი“;
19.20. მულტფილმები;
19.45. „გრაცია აერობიკა“;
20.00. ნეოსტუდია;
20.30. ტელესერიალი „სიყვარულის ამბავი“;
21.15. „დარბაზი“;
21.35. პოდიუმი;
21.45. „ინფორმაცია მეორე არხი“. რეკლამა;
22.10. ჩეხური მხ.ფ. „კოლია“.

7.00. 8.00. 8.30. „კურიერი“;
8.10. მულტსერიალი „სიმპსონები“;
9.00. „სიყვარულის უფლება“;
10.00. „რობოკოპი“;
18.00. კურიერი;
18.15. დოკ.ფ. ;
19.00. მანუნა;
19.35. „მეზობელი გოგონები“;
20.00. „სიყვარულის უფლება“;
21.00. კურიერი;
21.30. ამერიკული მხ.ფ. „ნოტრდამელი კუზიანი“;
23.05. „ლოს-ანჯელესის კანონი“;
23.55. კურიერი;
0.05. ამერიკული მხ.ფ. „ჩიტუნა“.

11.00. განვარჯიში;
11.30. მულტფილმები;
12.15. დოკ.ფ.;
13.00. „პოსტ-ფაქტუმი“;
13.15. მუსიკა;
13.30. ამერიკული მხ.ფ. „დამდგარ წყალში“;
15.05. მუსიკა;
15.30. სპექტრი;
16.45. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“;
17.30. „პოსტ-ფაქტუმი“;
18.00. მუსიკა.

18.40. "Космическая полиция", сериал;
19.05. "До шестнадцати и старше";
19.30. "100 лет приключений";
20.20. "Девушка по имени судьба";
21.00. Погода;
21.10. Час пик;
21.35. Угадай мелодию;
22.00. Тема;
22.45. Спокойной ночи, малыши!;
23.00. Время;
23.40. Ромaнс к юбилею "Эльдара Рязанова;
0.40. Комедий Эльдара Рязанова "Берегис автомобиля";
2.25. Хоккей. Евролига. "Динамо Москва' _ "Манчестер" Англия;

## ოთხშაბათი 19 ნოემბერი

7.30. „ალიონი“;
9.00. „დინასტია“;
9.45. „სიყვარულის ამბავი“;
18.00. „მოამბე“;
18.10. ანონსი;
18.15. „პური ჩვენი არსობისა“;
18.40. „ფერთა ფენა“ იორამ ქემერტელიძე;
19.00. „50/50“;
20.00. „მოამბე“;
20.30. რეკლამა;
20.35. „ბასტი-ბუბუ“;
20.55. „პროფილი“;
21.10. ამინდის პროგნოზი;
21.15. „დინასტია“;
22.00. „ვესტნიკი“;
22.20. „ვიდეოპატრული-02“;
22.30. ვახტანგ ბალავაძე-70;
22.55. პროგრამა „დღე“;
23.10. მხოლოდ მოუ-ბიზნესი;
23.50. „მოამბე“;
0.00. ფრანგული მხ.ფ.. „მავი სია“.

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი“;
19.20. მულტფილმები;
20.00. „ფერარას ისტორია“(ტვ-5);
20.30. „სიყვარულის ამბავი“;
21.15. გოლი;
21.50. სიყვარულის ისტორია;
22.00. სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი“;
22.30. ქართული მხ.ფ. „წიგნი ფიცისა“-3 სერია.

7.00. 8.00. 8.30. „კურიერი“;
8.10. „სიმპსონები“;
9.00. „სიყვარულის უფლება“;
10.00. „რობოკოპი“;
18.00. კურიერი;
18.15. დოკ.ფ.;
19.00. მანუნა;
19.35. „მეზობელი გოგონები“;
20.00. „სიყვარულის უფლება“;
21.00. კურიერი;
21.30. ამერიკული მხ.ფ. „ომსა და სიყვარულში“;
23.25. „ლოს-ანჯელესის კანონი“;
0.15. კურიერი;
0.25. ამერიკული მხ.ფ. „ცვილის ფიგურების მუზეუმი“.

11.00. განვარჯიში;
11.30. მულტფილმები;
12.15. დოკ.ფ.;
13.00. „პოსტ-ფაქტუმი“;
13.30. ამერიკული მხ.ფ. „სახლში დამალული“;
15.15. მუსიკა;
15.30. სპექტრი;
16.45. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“;
17.30. „პოსტ-ფაქტუმი“;
18.00. მუსიკა.

18.15. Зов джунглей;
18.40. "Космическая полиция", сериал;
19.05. До шестнадцати и старше;
19.30. "100 лет приключений";
20.20. "Девушка по имени судьба";
21.00. Погода;
21.10. Час пик;
21.35. Телеигра "Золотая лихородка";
22.10. Человек и закон;
22.45. Спокойной ночи малыши!;
23.00. Время;
23.40. "Русское радио" в Кремле;
1.15. Док. детектив "Пенковский-агент трех разведок";
2.15. Фантастическая комедия режисора Д.Темпла "Земные девушки доступны",

## ხუთშაბათი 20 ნოემბერი

7.30. „ალიონი“;
9.00. „დინასტია“;
9.45. „სიყვარულის ამბავი“;
18.00. „მოამბე“;
18.10. ანონსი;
18.15. „სახსოვარი“-ელენე ახვლედიანი;




18.45. „მერიდიანი“;
19.05. „პიგია“;
19.25. „სპა“;
19.55. „რამპა“;
20.00. „მოამბე“;
20.30. რეკლამა, ანონსი;
20.35. „ბასტი-ბუბუ“;
20.55. „პროფილი“;
21.10. ამინდის პროგნოზი;
21.15. „დინასტია“;
22.00. „ვესტნიკი“;
22.20. „ვიდეოპატრული-02“;
22.30. „ქვა“;
23.00. „მრავალსახეობა“;
23.40. ამერიკული მხ.ფ. „უპატიებელი“;
0.00. „მოამბე“.

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი“;
19.20. მულტფილმები;
19.45. აერობიკა;
20.00. პოროსკოპი;
20.20. ნეოსტუდია;
20.30. „სიყვარულის ამბავი“;
21.15. მეიდეული;
21.40. ელიტარული ქრონიკა;
21.45. სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი“;
22.10. ამერიკული მხ.ფ. „უსახოდ“.

7.00. 8.00. 8.30. „კურიერი“;
8.10. „სიმპსონები“;
9.00. „სიყვარულის უფლება“;
10.00. „რობოკოპი“;
18.00. კურიერი;
18.15. დოკ. ფ.;
19.00. მანუნა;
19.35. „მეზობელი გოგონები“;
20.00. „სიყვარულის უფლება“;
21.00. კურიერი;
21.30. ქართული მხ.ფ. „ბრავო, ალბერ ლოლიშ“;
22.50. „ლოს-ანჯელესის კანონი“;
23.40. კურიერი;
23.50. ამერიკული მხ.ფ. „ნაფიცი მსაჯული“.

11.00. განვარჯიში;
11.30. მულტფილმები;

12.15. დოკ.ფ.;
13.00. „პოსტ-ფაქტუმი“;
13.15. მუსიკა;
13.30. ამერიკული მხ.ფ. „ტყუპი დრაკონი“;
15.20. მუსიკა;
15.30. სპექტრი;
16.45. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“;
17.30. „პოსტ-ფაქტუმი“;
18.00. მუსიკა.

18.10. Лего-го!
18.40. "Космическая полиция" сериал;
19.05. До 16 и старше;
19.30. "100 лет приключений" сериал;
20.20. "Девушка по имени судьба";
21.00. Погода;
21.10. Час пик;
21.35. Эти забавные животные;
22.05. Программа Л.Филатова "Чтобы помнили" В. Владимирова;
22.45. Спокойной ночи, малыши!;
23.00. Время;
23.40. Валентина Владимирова, Михаил Ульянов, Иван Лапиков, Нонна Мордюкова в драме режиссора "А.Сольтикова "Председатель" 1-я, 2-я серии;
2.40. Док. сериал "Каскадеры, Мыр трюков";
3.25. Триллер "Агент по имени далина",

## პარასკევი 21 ნოემბერი

7.30. „ალიონი“;

9.00. „დინასტია“;
9.45. „სიყვარულის ამბავი“;
18.00. „მოამბე“;
18.10. „როგორ შევაფასებდით“;
18.55. „50/50“;
19.55. ანონსი;
20.00. „მოამბე“;
20.30. რეკლამა;
20.35. ბასტი-ბუბუ;
20.55. „პროფილი“;
21.10. „ასპარეზი“;
21.20. ამინდის პროგნოზი;
21.25. „ლატარია ყველასათვის“;
22.00. „ვესტნიკი“;
22.20. „ვიდეოპატრული-02“;
22.30. „პრეს-სტუდია“;
23.00. „ტელე-სინე-ვიდეო“;
23.40. „საქმე“;
0.00. „მოამბე“;
0.10. ქართული ჰიტ-პარადი;
0.25. ამერიკული მხ.ფ. „შუაღამის მეორე მხარეს“.

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი“;
19.20. მულტფილმები;
20.00. რაგბი;
20.30. „სიყვარულის ამბავი“;
21.15. მეოთხე;
21.45. გუშინ;
22.00. სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი“;
22.25. ამერიკული მხ.ფ. „საფრთხობელები“.

7.00. 8.00. 8.30.„კურიერი“;
8.10. მულტსერიალი „სიმპსონები“;
9.00. „სიყვარულის უფლება“;
10.00. „რობოკოპი“;
18.00. კურიერი;
18.15. დოკ.ფ.;
19.00. მანუნა;
19.35. „მეზობელი გოგონები“;
20.00. „სიყვარულის უფლება“;
21.00. კურიერი;
21.35. ამერიკული მხ.ფ. „დღის მუქი“;
23.30. „ლოს-ანჯელესის კანონი“;
0.20. კურიერი;
0.30. „სიმპსონები“;
0.55. „ემოციები“;
1.25. ამერიკული მხ.ფ. „ტრამვაი-სურვილი“;

3.30. „პიკანტური სიტუაციები“;

11.00. განვარჯიში;
11.30. მულტფილმები;
12.15. დოკუმენტური ფილმი;
13.00. „პოსტ-ფაქტუმი;
13.15. მუსიკა;
13.30. ამერიკული მხ.ფ. „უსასრულო სიყვარული“;
15.30. სპექტრი;
16.40. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“;
17.30. „პოსტ-ფაქტუმი“;
18.00. მუსიკა;
0.05. მუსიკა;
0.30. ამერიკული მხ.ფილმი „ლედი ჩატერლეის სიყვარულის ისტორია“.

18.55. Улица Сезам;
19.25. Муз. программа "50/50";
20.20. Игорь Ильинский в Чеховской комедии "Хирургия";
21.10. Здоровье;
21.45. Поле чудес;
22.45. Спокойной ночи малыши!;
23.00. Время;
23.40. Коломбо в детективе "Все поставлено на карту";
1.35. Взгляд;
2.35. Ж.Рено, К. Шарметан в комедии Б.Ноэра "Три придурки с поросенком",

## შაბათი 22 ნოემბერი

9.00. „ცხრიდან თორმეტამდე“;
12.00. „მოამბე“;
12.15. ანონსი;
12.25. „XXI“;
12.35. მულტფილმი;
13.00. „პიგია“;
13.25. „კამერა-ტონი“;
13.40. „რეტროპერსპექტივა“;
14.25. „მესაკუთრე“;
14.40. მხატვრული ფილმი „შუამავალი“ (ქართულ ენაზე);
16.40. ესტრადის ასათიანის გამოსვლა;
16.55. დრიბლინგი;
17.55. ანონსი;
18.00. მოამბე;
18.10. „საქართველო და გარე სამყარო“;
18.40. „რაეო.ზემო ლელაო“ გადაცემა I;
19.05. „ტალანტები და თაყვანისმცემლები“;
19.30. საქართველოს კონსტიტუცია;
20.00. „მოამბე“;
20.30. რეკლამა;
20.35. „ბასტი-ბუბუ“;
20.55. „ვიდეოპატრული-02“;
21.05. სტუდია „მაესტრო“;
22.25. ამინდის პროგნოზი;
22.30. XX საუკუნე;
23.00. ილუზიონი;
23.50. „მოამბე“ – საინფორმაციო პროგრამა;
0.00. – ფილმის გაგრძელება.

9.00. პროგრამა „დილა“;
19.00. „ინფორმაცია მეორე არხი“;
19.20. მულტფილმი;
19.50. ავტოსპორტი;
20.20. ნეოსტუდია;
20.35. სკოლა;
21.00. „თაზისი“;
21.15. ჯაზ-სპირიტი;
21.40. სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი“;
22.05. ამერიკული მხატვრული ფილმი „რევოლუცია“.

8.00. 9.00. კურიერი;
8.15. მულტფილმი;
8.35. მულტსერიალი „კონტენი და მოლიერი“;
9.45. „საიდუმლო მასალები“ ტელესერიალი;
10.30. ამერიკული მხატვრული ფილმი „დასიდან ასსამდე“;
18.00. კურიერი;
18.15. მულტფილმი;
18.35. „გზა ევეონლისაკენ“ – საბავშვო სერიალი;
19.30. „ადამსების ოჯახი“ – სერიალი;
20.00. ტელესერიალი M.A.S.H.;
20.30. BOX OFFICE AMERICA;
21.00. კურიერი;
21.30. „ფსიქო“;
0.15. კურიერი, ღამის არხი;
0.30. პიკანტური სიტუაციები;
1.00. ამერიკული მხ.ფ. „სირბილი დროში“.

12.00. მულტფილმები;
12.45. მუსიკა;
13.00. საინფორმაციო გამოშვება „პოსტფაქტუმი“;
13.15. დოკუმენტური ფილმი;
14.00. ინდური მხატვრული ფილმი „გამოფხიზლება“;
16.00. სპექტრი;
17.00. სპორტული პროგრამა „ვარსკვლავები;
17.30. „პოსტ-ფაქტუმი“;
17.50. „ჯაზ-პარნასი“;
18.00. მუსიკა. ღამის ეთერი;
0.05. გასართობი პროგრამა
0.40. ამერიკული მხ.ფ. „ლედი ჩატერლეის სიყვარულის ისტორია“ (მეორე ნაწილი).

18.05. "Союзмультфильм";
18.35. В мире животных;
19.15. "Как это было";
20.20. Угадай мелодию;
20.45. Погода;
20.55. "Спрут-2" _ 2-я с;
22.10. Джентльмен-шоу;
22.45. Спокойной ночи, малыши!;
23.00. Время;
23.50. Погода;
23.55. Что? где? когда?;
1.25. Драма режиссора Оливера Стоуна "Джон ф.Кеннеди. Выстрелы в даласе" США.

## კვირა 23 ნოემბერი

9.00. „ცხრიდან თორმეტამდე;
12.00. „მოამბე“;
12.15. ანონსი;
12.20. „სპა“;
12.50. „რეიტინგი“;
13.00. მულტფილმი – „მურინავი სახლი“;
13.30. ქართული მხ.ფ. „მეჩვიდრე მთაში“;
14.45. ქართული ცეკვის I ფესტივალი;
15.15. მღერის ანსამბლი „თბილისი“;
15.40. „ტელე-სინე-ვიდეო“;
16.20. „გიორგობა“;
17.00. გორი;
17.20. „ციმციმებენ ვარსკვლავები“;
17.50. სპორტლოტო;
18.00. „მოამბე“;
18.10. ანონსი;
18.15. გლობუსი;
18.55. აფხაზეთის ტელევიზია;
18.35. „რაეო ზემო ლელაო“ – გადაცემა II;
20.00. „ინტელექტუალები“;
20.45. „როდის“;
21.00. „მსგავსი“;
21.45. რეკლამა;
21.50. „ვიდეოპატრული-02“;
22.00. ამინდის პროგნოზი;
22.05. სატელევიზიო კინოდარბაზი: რეტროპერსპექტივა ფილმებისა „არლანი“, „გამხელელი პაიკი“, „ბედის უკუღმართობა“ და „მონადირე“;
23.50. „მოამბე“;
0.00. ქართული მხ.ფ. „სიყვარული ყველას უნდა“.

9.00. პროგრამა „დილა“ ამერიკული მხ.ფ. „დრაკონის გული“;
19.00. მულტფილმები;
19.45. გრაცია-აერობიკა;
20.00. საუბრის თემა;
20.25. სუპერ-მატჩი;
21.00. გიორგობა;
21.15. „ეროვნული საგანძური“;
21.45. „ვარსკვლავები გვამცნობენ“;
22.00. ამერიკული მხ.ფ. „დედა“.

8.00. 9.00. „კურიერი“;
8.15. მულტფილმი;
8.35. მულტსერიალი „კონტენი და მოლიერი“;
9.30. „საიდუმლო მასალები“;
10.25. ამერიკული მხ.ფ. „რეგთაიმი“;
18.00. კურიერი;
18.15. „გზა ევეონლისაკენ“;
19.10. „მონტიპაიტონი“;
19.40. ტელესერიალი M.A.S.H.;
20.10. „საიდუმლო მასალები“;
21.00. კვირა – საინფორმაციო ანალიტიკური გამოშვება;
21.45. „საიდუმლო მასალები“;
22.35. მუსიკალური პროგრამა;
23.10. იტალიური მხ.ფ. „თუნდაც ჩვენ“;
1.00. კურიერი;
1.10. „სიმპსონები“;
1.35. „ემოციები“;
2.05. მხ.ფ. „მეშვიდე ბეჭედი“;
3.20. „პიკანტური სიტუაციები“.

12.00. მულტფილმები;
12.45. მუსიკა;
13.00. დოკუმენტური ფილმი;
14.00. იტალიურ-ამერიკული მხ.ფ. „პანიბალი“;
15.45. მუსიკა;
16.15. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“;
17.00. „ჯაზ-პარნასი“;
18.00. კვირის მიმოხილვა: – „პოსტ-ფაქტუმი“;
0.05. გასართობი პროგრამა;
0.30. ამერიკული მხ.ფ. „ფრანკენშტეინი“.

18.10. Футбольное обозрение;
18.40. Большой мультфильм "Тилли и его дракон;
19.25. Л.Якубович в телеигре "Колесо истории";
20.10. Погода;
20.20. Фильм Элдара Рязанова „Вокзал для двоих";
23.00. Время;
23.35. "Чужие";
2.10. Приглашение к музыке;
2.55. Занудa по-американски в комедии "Приятели";

# ...საქართველოში ახალი ფენომენი გამოჩნდა...

(დასასრული)

გვარი – არაგვარიძე! დღეის, საოცრად კე-ილი ადამიანის პროტესტი, სულის ამბოხე-ა იყო!

ლები მყაედა. ჩიტაშვილები! ერთი დაიღუ- წლის, ლამარა, ის მზრდიდა, მეორე დღესაც რუნველობს ჩემზე. ღებმა თავიანთი გვარი ომცეს. ეს დიდი სულიერების ნიშანი იყო. მე ღეს ვარ თემურ ჩიტაშვილი! ვატარებ იმ კაცის არს, რომელიც ჩემს დაბადებამდე სამშობლოს ეწირა და ჩემი არსება სიზმარშიც არ უნა-ავს. მეც სულ ვცდილობ მასთან მიახლოვე-ას. როცა იქნება, ჩვენ ერთმანეთს შევხვდე-ით. მე მიყვარს კაცი, რომელიც არასოდეს მი-ახავს, რომლის გვარს ვატარებ და რომელიც ულიერი მამაა ჩემი!!! მთავარი შექმნა არ არის, ემო მაყვალა, მთავარი სულიერებაა!!!

– როგორ შემოვიდა შენს ცნობიერებაში მამა-ვალობა?

– მამა დღესაც ჩემთვის კითხვის ნიშანია! რასოდეს არ მიცვნია მამად, კონტაქტი არ გვქ-ნია (ძმები(?!) არ უშვებდნენ!). დღეს მე მის ვილებთან ვმეგობრობ.

როგორ და სად ვნახე პირველად მამა? დი-ხანს ფიქრობს... ვინანე კიდეც ამ კითხვის და-მა...

– უკვე მასწავლებელი ვიყავი (თვალები აუ-ელიანდა...) მეგობარ ექიმთან ვიყავი საავა-ყოფოში. ექიმები ისტორიებს იმღენს წერდნენ ომ... მაგიდაზე გროვად ეწყო ავადმყოფების ისტორიები. გასული იყო. არ ვიცოდი, რა მე-ოთებინა და პროფესორივით დავიწყე დიაგნო-ების „გადამოწმება“. ერთი ისტორია იყო. სო-ელი ოკამი მომხვდა თვალში და ავიღე: ეწერა: იხეილ ვასილის ძე შუკაკიძე... თავში რაღაც ინაური ზარები აგუგუნდნენ, ასე მეგონა, თავის ვინში უჯრედებმა გადაადგილება დაიწყეს-თქი. ვერ გეტყვი, რა დრო გავიდა... და სა-რთოდ ჩემო მაყვალა, არ ვიცი რატომ, პირ-ელად აულაპარაკდი შენთან. ამდენი წელია ცნობ, არასოდეს მიკითხავს არაფერი. ამ თემას აბუ ედო, არა, კი არ ვკრძალავდი. არავინ რაფერს მეკითხებოდა. ახლა? იქნებ ესაა წამი, რო, როცა უნდა ილაპარაკო?

ხო, ძლივს ავდექი... ჩუმად შევაღე პალა-ის კარები. ის იყო... ის, ვინც საფუძველი ჩა-ყარა ჩემი სიცოცხლის დაწყებას... მამა? არა, მამად ვერ ავღიქვამდი, უბრალოდ, საწოლში იწვა კაცი, რომლის სხეულის ნაწილი ვიყავი, ულის არა! რამდენიმე წამს გავყუჩდი, ფეხიც ადავდგი, მაგრამ მეორე თითქოს გამეყინა, ერ ავიღე იატაკიდან. ვერ შევედი... 10 დღის შემდეგ დაიღუპა. ღმერთმა აცხონოს! იქნებ იქ მაინც მოინანიოს და კმაყოფილი დარჩეს ჩე-მი არსებობით. მიხეილის ძედ ვწერივარ. კა-რგი იქნებოდა, გიორგის ძე ვყოფილიყავი, იმ კაცის გიორგი ერქვა, ვის გვარსაც ვატარებ. ის მე მორიდან მიყვარს, მაგრამ სჩანს, სწორედ ესაა ბედიც და უბედობაც.

– საოცარია,იმ კაცის გვარს ატარებ, ვინც შენს დაბადებამდე რამდენიმე წლით ადრე ომში დაიღუპა. უფლის ნებით უფლის საუფლოში წა-ვიდა. მართლაც, იქნებ ღვთიური იყო შენი და-ბადება? ქრისტეს ვის შევადრი, მაგრამ რო-გორ დაიბადა, როგორ ჩაისახა... იქნებ ეს მა-ღლიც, წინასწარმეტყველური ნიჭი ღმერთმა გი-ბოძა განვლილი ტანჯვა-წამებისთვის?

ჩვენ ყველა ღვთის შვილები ვართ, მაგრამ იქნებ შენ გამორჩეული?

– რა გითხრა, ქრისტეს დაბადება საოცრე-ბა იყო, გადარჩენა მით უფრო. მარიამიც უბ-რალო გლეხის ქალი იყო. თითოეულ ჩვენთა-განში ქრისტე, – ძე ღვთისა, ხასწაულია! მკ-რეხელობაა მასთან ვინმეს მიახლოება, ჩვენ მისი სულიერი შვილები ვართ. ქრისტეს მაგა-ლითი ძალაა და ეს ძალა რწმენად გადმოდის ჩვენში, მაგრამ ალბათ უფალი მაინც რაღაცით განარჩევს მათ. მე ერთ-ერთი მოკვდავი ვარ, მართლაც შესაძლოა რაღაცით გამორჩეული. ვერ გეტყვით, გადავრჩებოდი თუ არა, რომ არა ღვთის ნება. პირველ იანვარს სხვენში, თივაში ვიბადები... მშობიარეს ეხმარება სულიერად ზნე-მაღალი ქალი, რომელიც დღესაც ცოცხალია.

– ვინ არის ის ქალი?

– ანა! (ანიჩკა ღეიდა), ოო, ძალიან მიყვარს ის ქალი...

– შენი უცნაურობები, თუნდაც დღევანდელი რეალობა, რაღაც გარკვეული დოზით წინას-წარმეტყველება, ხომ არ მოიტანა სწორედ ასე-თმა წარსულმა?

– ვერ გეტყვი. დაჩაგვრა არასოდეს განმი-ცდია, თუმცა დიდი სტრესები იყო.მე შინაგა-ნად ძლიერი ვიყავი, მაგრამ რაღაც ფორმით დათრგუნული. მაინც მგონია, რომ უფლის მა-დლია. ის გრძნობს მის შვილთა სულის მოძ-რაობას.

– სკოლაში ვიცოდით შენი ფანტაზიების შე-სახებ. მაშინ აბა სხვა რა შეიძლებოდა გვეთქვა, მაგრამ გამოკვეთილი სახე როდის მიიღო?

– ინსტიტუტიდან... 1972 წელს დიდი წარღვნა იქნება-მეთქი. ამხანაგებს გავაგებინე. მართლაც საშინელი წვიმები იყო. მე შემოვრჩი.ასე მე-გონა, ვიღაცისთვის უნდა მეშველა, ასეც მო-ხდა. უფრო ადრე დავაფიქსირე მჟავანაძის წა-სვლა და შევარდნაძის მოსვლა მის ოლიმპზე ხანგრძლივი ყოფნის გათვალისწინებით.

მერე? შემთხვევები უამრავი იყო. ერთხელ მანშიაშვილის ქალთან მოვხვდი (თუ არ ვც-დები სანდრო მანშიაშვილის ახლობელი იყო). მან მითხრა, მალე წინასწარმეტყველი გახდებიო. სამწუხაროდ, მისი სახელი არ მახსოვს... ოღონდ, მე როცა აღარ ვიქნებიო...

1989 წლის 6 აპრილს გამოცხადება მქონდა... ხმა, ომი, სიკვდილი, დენი!

1991 წლის 28 აგვისტოსათვის 13 კაცი უნდა შეკრება არმაზში... გამოცხადებით... ვერ მო-ვასწარი. მერე? 1993 წლის 30 სექტემბერს „მე-ორედ დავიბადე“, გადამარჩინა ჩემმა ბიძაშ-ვილმა ნანა ჩიტაშვილმა.

ახლა? თითქოს დავალება მაქვს ერთმა პიროვნებამ (მიფრავს) უნდა შეკრიბოს 13 კაცი. საქართველოს გადაარჩენს 13+1. უნდა მოვასწროთ (?!)

**მაყვალა ბერიანიძე**

გაგრძელება იქნება.



# სპორტის დეპარტამენტსა და ფეხბურთის ფედერაციას ეს კაცი თუ შეარიგებს!

## სპორტი

დაპირისპირებამ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტსა და ფეხბურთის ფედერაციას მორის კულმინაციას მიაღწია. პირველნი კატეგორიულად (თან, არაპირველად) მოუწოდებენ სფფ-ის ხელმძღვანელებს რიგგარეშე ყრილობის მოწვევას, ეს უკანასკნელნი კი, როგორც წესი, თავის აზრზე არიან და გაიძახიან – ჩვენ მარტო ფიფასა და უეფას ვემორჩილებით და სხვებს, ბოდიშით და ჩვენს საქმეებში არაფერი გესაქმებათო. აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ სფფ-ის პრეზიდენტის, ბატონ ნოდარ ახალკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ საჭიროებს სამედიცინო შემოწმებას და ამჟამად იგი ამ მიზნით გერმანიას გაემგზავრა. არ არის გამორიცხული, რომ მას გერმანიაში სტაციონალური მკურნალობა დასჭირდეს (ვადები ზუსტად არავინ იცის) და ჰოდა, ჩვენი ფეხბურთის ფედერაცია „უპატრონოდ“ ხომ არ იქნება? ამიტომაც, სფფ-მ 12 ნოემბერს შემდეგი ბრძანება გამოსცა:

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ბრძანება

№ 273 12 ნოემბერი, 1997 წ. ალ.ჩივაძისათვის დროებით სფფ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების დაკისრების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ სფფ-ს პრეზიდენტი გერმანიაში სტაციონალურ მკურნალობას გადის, რომელიც ხანგრძლივ დროს მოითხოვს, ვბრძანებ:

1. ნ.ახალკაცის დავალებით მის გამოჯანმრთელებამდე და სამსახურში გამოსვლამდე, სფფ-ის პრეზიდენტის მოვალეობის დროებითი შესრულება, თანახმად სფფ-ის წესდებისა, დაეკისროს სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტს ალ.ჩივაძეს ა/წლის 12 ნოემბრიდან.

დ.კვინიკაძე

გენერალური მდივანი“

დიახ, სწორედ ის ალექსანდრე ჩივაძე, რომელიც საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგომის შემდეგ ერთგვარ „ჩრდილში“ მოექცა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იგი თავის ძველ პოსტზე (სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტის) დარჩა, მაგრამ პრესასთან ურთიერთობას საერთოდ თავს არიდებდა. ისე კი, მართლაც საინტერესოა, თუ რა პოზიციას დაიკავებს ამასთან დაკავშირებით საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი. რადგანაც, როგორც საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა განაცხადა, ჩვენ ფედერაციას კი არ ვედავებით, მხოლოდ მის ხელმძღვანელობასო (იხ.გაზეთი „სარბიელი“, 13 ნოემბერი).

**უჩა ცარციძე.**

# ჰოლიფილდი აბობოქრდა

პროფესიონალური კრივის „ღედაქალაქ“ ლას-ვეგასში უაღრესად საინტერესო ორთაბრძოლა გაიმართა 35 წლის ევანდერ ჰოლიფილდსა და 29 წლის მაიკლ მორერს შორის. შეხვედრის ინტერესს ისიც აღვივებდა, რომ ჰოლიფილდი მსოფლიო ჩემპიონია მოკრივეთა მსოფლიო ასოციაციით (ვბა), რომელმაც ეს წოდება ამას წინათ თვით მაიკლ ტაისონს ჩამოართვა (მერე რა, რომ ჰოლიფილდს ყურის ბიბილო მოაჭამა „რკინის“ მაიკლმა); ხოლო ლუისი ასევე მსოფლიო ჩემპიონი გახლდათ, ოღონდ საერთაშორისო ფედერაციის ვერსიით (იბფ). ჰოლიფილდმა, რომ იტყვიან, შემუსრა მეტოქე და მერვე რაუნდში ნოკაუტით ძირს დასცა იგი, რამაც ორივე ვერსიით ჩემპიონობა და... 20 მილიონი დოლარი მოუტანა; „საწყალ“ მორერს კი წილად ევანდერის მუშტების გარდა 5 მილიონი დოლარი ხვდა.

ევანდერ ჰოლიფილდის აქტივში უნდა ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ ორჯერ დაუმარცხებია მაიკლ ტაისონი და ასევე თანამედროვეობის ორი დიდი ჩემპიონიც – ჯორჯ ფორმენი და ლარი ჰოლმსი. რაღა დარჩა! რა და მთავარი – ჩემპიონობის მოპოვება მესამე, მოკრივეთა მსოფლიო საბჭოს (ვბკ-ს) ვერსიით კი ამ ტიტულს ინგლისელი ზანგი ლენოქს ლუისი ატარებს და სწორედ ლუისისა და ჰოლიფილდის შერკინებას ლამობს კრივის სამყაროში ცნობილი პრომოუტერი დონ კინგი, რითაც თავადაც კარგად მოითბობს ხელს და ჰოლიფილდსაც შანსს მისცემს მსოფლიო ჩემპიონის სამივე სარტყელი ეპყრას. არადა, სამივე ვერსიით მსოფლიოს უძლიერესის სახელს, ანუ აბსოლუტურ ჩემპიონობას ბოლო დროს ფლობდა 24 წლის მაიკ ტაისონი. რომელმაც ეს ტიტული დაკარგა დაპატიმრებამდე ბასტერ დუგლასთან დამარცხების შემდეგ.



**ზურაბ ჩიტიშვილი**

*სურათზე: დონ კინგი და ევანდერ ჰოლიფილდი.*


# ყურადღება!

ავიაკომპანია "საქართველოს საერთაშორისო ავიახაზები" აცხადებს საშობაო ფასდაკლებას თბილისი-ფოთი-თბილისის ავიარეისზე.

რეისები სრულდება ყოველ სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს. გაფრენა თბილისიდან 11 საათზე, გამოფრენა ფოთიდან 15 საათზე.

მსურველებს შეუძლიათ შეიძინონ ბილეთები ქალაქის ავიასალაროებში, ხოლო გაფრენის დღეს აეროპორტის სალაროში.

ბილეთის ღირებულებაა - 39 ლარი (ნაცვლად 52-სა).

დაკვეთით ვასრულებთ ჩარტერულ რეისებს ფოთის, ბათუმის, ტრაპზონის, ერევნის, ბაქოს და სხვა მიმართულებით.

ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგ ტელეფონებზე:
ქ.თბილისში - ტელ.: 99-97-30; 92-34-92;
ფაქსი: 92-33-03.


## ჩვენი მილოცვა!

ქალბატონ მაია თუნგიას, ბატონებს ნუკრი ბერიძესა და დათო ცაგარეიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს! ვუსურვებთ ჯანმრთელ სიცოცხლეს, ურიცხვ მზიან დღეს, ულევ სიხარულს და გამოულევლ მეგობრებით ენდობიან!

სიყვარულით

„ახალგაზრდა ივერიელი“.

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“
რედაქცია თანაუგრძნობს
კორესპონდენტს ბრიგიტა მიუკაშვილს ბებიის
**ვენერა თოდუას**
გარდაცვალების გამო

მთავარ ბუღალტერს ლალი ხმიადაშვილს
ბიძის
**დურმიშხან ლონდაძის**
გარდაცვალების გამო.


## პრესბირჟა

ფირმა „თ. ბ“. დაინტერესებულ პირებს სთავაზობს ალკოჰოლური სასმელების ჩამოსხმისათვის აუცილებელი კორპის საცობებს და თერმულ ჩაჩებს. მსურველებს შეუძლიათ დარეკონ ან მიაკითხონ გაგარინის ქ. №3, ტელ. 38-11-91.

---

ვიმუშავებ შინამოსამსახურედ, ბავშვის ან მოხუცის მომვლელად
დარეკეთ 68-22-00.
იკითხეთ იზა მიქელაძე.

---

ქირავდება

2 ოთახი, ავეჯით, ტელეფონით.
მისამართი: ნუცუბიძის III მიკრორაიონი (ყოფილ რაიკომთან). ფასი 120 ლარი.
დარეკეთ: 34-68-81.

---

იცვლება ერთოთახიანი ბინა მესამე მასივში მაღალ ბელეტაჟზე სამარშრუტო ტაქსზე ან ახლომდებარე სოფლის ბინაზე. ბინას აქვს ტელეფონი, სარდაფი, პატარა ბაღი. გაცვლის სხვა ვარიანტებიც დასაშვებია – კომპიუტერული ტექნიკა...

საკონტაქტო ტელეფონი – 73-62-57. (მაია).

## რა მეტი მტერია – ყავა თუ სიგარეტი?

როგორც ჩანს, ბოლო ელება გაუთავებელ ლაპარაკს იმაზე, რომ ყავა ძალზე მავნებელი სასმელია და გულის დაავადებების რისკს ზრდისო. იმ ადამიანებზე ათწლეულობით დაკვირვებამ, ვინც დღეში 5-6 ფინჯან ყავას მაინც „შთანთქავს", აჩვენა, რომ მათ იმათზე მეტად „გაცვეთილი" გულები როდი აღმოაჩნდათ, ვისაც ყავა არცკი უგემნია. თუმცა, აქ ერთი თავისებურება მაინც შეიმჩნევა: ყავის მოყვარულებს შორის ბევრად მეტი მწეველია, ვიდრე ყავის საწინააღმდეგო კამპანიის მონაწილეთა შორის ასე რომ, ავადმყოფობები ძირითადად ყავას კი არა სიგარეტს მოაქვს. – ასკვნიან სპეციალისტები.

## „მაშინ აინშტაინი მაიმუნს უნდა ჰგვანებოდა"...

ლონდონში გამართულ ფსიქიატრთა კონგრესზე სენსაციად იქცა ამერიკელი აიკადარაკ ალიასის (ის წარმოშობით პაკისტანელია) მოხსენება, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ჭარბთმიან მამაკაცებს ბევრად უფრო დიდი ინტელექტი აქვთ, ვიდრე დანარჩენებს. რასაც ფსიქიატრი თუნდაც იმით ასაბუთებს, რომ ამერიკის მამრობითი სქესის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტს აქვს ჭარბი თმა, მაშინ როდესაც უნივერსიტეტებში ასეთი ყოველი მეორე სტუდენტიაო.

ბევრ მეცნიერს ალიასის დასკვნაზე მხოლოდ ეღიმება, ერთმა მათგანმა კი შენიშნა: „ალიასს თუ დავუჯერებთ, მაშინ აინშტაინი მაიმუნს უნდა ჰგვანებოდა".

## „მფრინავი" მიშა არმატურის რკინამ იხსნა

ჩელიაბინსკის ერთ-ერთ სამშენებლო მოედანზე ნამდვილი სასწაული მოხდა. კაი გვარიანად გამომთვრალი მემონტაჟე მიხეილ სამოილოვი მშენებარე სახლის მეთერთმეტე სართულიდან გადმოვარდა და.... მშვიდობიანად „დაეშვა" ბეტონის ბლოკიდან ამოშვერილ არმატურის დაგრაგნილ კრინაზე. „კოლეგებმა" სამოილოვი ქინძისთავზე წამოგებული პეპელას პოზაში აღმოაჩინეს: ის პირდაპირ პირით ჩამოგებოდა რკინას, რომელსაც ამის შემდეგ მთელი სხეული გაევლო და თეძოდან გარეთ გამოსულიყო.

სამოილოვი ხერხუნათი ფრთხილად „მოაქლიბეს" არმატურის რკინას და საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ექიმები კიდევ ერთი სასწაულის მოწმენი გახდნენ: რკინას ისე გაევლო მთელი სხეული, რომ არც ერთი შინაგანი ორგანო არ დაეზიანებინა.

„მფრინავმა" მიშამ მალე მოიშუშა „მცირეოდენი განაკაწრები", საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ კი მხსნელი „ღვთაებრივი რკინისაგან" ბედნიერების სიმბოლოს – ნალების – გამოჭედვას მიჰყო ხელი.

## ჩახვალ „ლაიკით", ამოხვალ „მაიკით"...




გახსოვთ ალბათ, „წვერებიანი" ანეკდოტი, ჭიჭიკიას რომ ეკითხებიან: ბიჭო, ჭიჭიკია, რა საჭიროა მიწისქვეშა გადასასვლელიო? რად და – ჩახვალ „ლაიკით" და ამეხვალ „მაიკით" -ო, პასუხობს ჭიჭიკია. უფრო ღრმად „მიწაში ჩასასვლელი" ანუ მეტრო რაღა საჭიროა, თუ იცით? რად და.. ჩახვალთ ნორმალური და ამოხვალ... გიჟი! არ გჯერათ, კი, ბატონო, დავიწყოთ:

ახალგაზრდა იმედისმომცემ მოსკოველ ბიზნესმენს სერგეის ერთ დილით საკუთარი „გრან ჩეროკი" (ერთგვარი უცხოური მანქანა ყოფილა) ადგილზე აღარ დახვდა – მოპარეს. ვინ ახალი რუსი და ვინ მანქანის დაკარგვის გამო გადარევა და, ცხადია, არც სერგეი გადარეულა. ის კი არა და ფილოსოფიურადაც კი ჩაიცინა და კიდევ უფრო ღრმად „ფილოსოფიური" გადაწყვეტილებაც მიიღო: მოდი, ამ ერთხელ მეც გავერევი ხალხში, მეტროთი წავალ სამსახურშიო (ეჰ, ნეტავ ეს აზრი არ მოსვლოდა თავში და თუნდაც ფეხით დასდგომოდა მოსკოვის ერთ ბოლოდან მეორეში მიმავალ გზას, მაგრამ მოუვიდა და რაღას იზამ).

პირველი უსიამოვნება სერგეის მეტროს ჟეტონის შეძენის უშედეგო ცდისას შეხვდა. ცხვირწაწვეტებულმა მოლარე ქალმა უკან ესროლა ორმოცდაათასიანი კუპიურა: რას მაჩეჩებ, რომ მაჩეჩებ, ვერ ხედავ, კუთხე ჩამოხეული აქვსო. ნებისმიერ ჩვენს ბანკს (სერგეის სამსახურის განკარგულებაში კი არაერთი მოსკოვური ბანკი ყოფილა, თურმე) ხომ ამისათვის ერთ წამში დახურავდნენო, ის იყო, ამის გაფიქრება მოასწრო , რომ მოლარემ სარკმელი ზედ ცხვირთან მოუჯახუნა და „სასადილო შესვენებაზე" წავიდა.

ვაგონში რის ვაი-ვაგლახით შეღწეული სერგეი (ჟეტონი მას ალალად აჩუქა ერთმა კლიენტის მაძებარმა იაფფასიანმა მეძავმა, რომელმაც მანამდე, ცხადია, საკუთარი „სამსახურიც" შესთავაზა) გაბრიყვდა და სკამზეც ჩამოჯდა. „დავჯექი თუ არა, ვაგონში უმალ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, – იხსენებს უკვე ფსიქიატრიულში მყოფი სერგეი, – და ათობით ადამიანის განრისხებული მზერა დამეძგერა. თავი ისე უხერხულად ვიგრძენი, თითქოს ყოველი მათგანის თითო დოლარი მაინც მემართა და აგერ უკვე ნახევარი წელი არ ვუბრუნებდი". ჰოდა, ხომ შეიძლება წარმოიდგინოთ მისი სიხარული, როცა კარი გაიღო და ვაგონში მიხრწნილი მოხუცი შემობაჩუნდა. სერგეი უმალ წამოხტა და ადგილი შესთავაზა, პასუხად მისგან ისეთი ლანძღვა-გინება მიიღო, მანამდე თვით ყველაზე მაგარ საქმის გარჩევაზეც რომ არ სმენოდა.

### ორშაბათი მძიმე დღეა – გაიღიმეთ!

მაგრამ ყველაზე სერიოზული დარტყმა (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით) სერგეიმ მაინც სადგურ „კომკავშირელიდან" წრიულზე გადასვლისას მიიღო: ესკალატორთან აჩოჩქოლებულ ბრბოში მას კარგად გამობრუჟული ბომჟი მიუჩოჩდა, რომელმაც ის-ის იყო, „სელიოდკის" ბოლო ნაჭერი გადაუძახა ხახაში, ხელები მშვიდად შეაწმინდა სერგეის უძვირფასეს შალის პალტოს და ცხიმით მოსვრილ პირზე კი არანაკლებ ძვირფასი მისივე კაშნეც მიისვ-მოისვა და ზედმიწევნით კმაყოფილმა განაგრძო გზა.



უძლურებისა და ბოღმისაგან სუნთქვაშეკრულმა სერგეიმ ისლა სცადა, რომ როგორმე თავი მაინც გამოეგლიჯა ბრბოსთვის, მაგრამ, თურმე, სწორედ აქ ჩასაფრებოდა უკანასკნელი და თანაც საბედისწერო საფრთხე: „ვის უფათურებ ხელებს, შე არამზადავ, შენა!" – ისტერიულად უკივლა მას 40 წელს მიტანებულმა მოინტელიგენტო ქალმა, რომელსაც გულზე „ჰერბალაიფის" უზარმაზარი სამკერდე ნიშანი ეკეთა და ისეთი ძალით გაულაწუნა სახეში სარეკლამო პროსპექტებით სავსე პლასტიკატის საქაღალდე (თანაც წვეტიანი კუთხით!), რომ ... სერგეი ს. მხოლოდ „გიჟის ხალათში" გამოკრულილა დაარკეს.

ამის შემდეგ კიდევ იტყვით, რომ მეტრო ერთი ჩვეულებრივი მიწისქვეშა ტრანსპორტია და მეტი არაფერიო?...

**რ. დ.**

### ტესტი

## რამდენად ოპტიმისტი ხართ?

*ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში ქვემოთ მოხმობილი ტესტიც დაგეხმარებათ. უპასუხეთ; „დიახ" ან „არა".*



*1. ახალი დიეტის გაგებისას, თქვენ:*

ა) მაშინვე გადავხედავ კვების რეჟიმს და ვცვლი ცხოვრების წესს;

ბ) ამას არავითარ ყურადღებას არ ვაქცევ.

*2. თუ სახეზე მუწუკი გამოგივიდათ ან პარსვისას შემთხვევით გაგეჭრათ, თქვენ:*

გ) სანამ არ მომირჩება, სახლიდან არ გამოვდივარ;

დ) იმდენად უხერხულად ვგრძნობ თავს, რომ როგორც კი ვინმე ნაცნობს ვხვდები, უმალ ვუყვები თუ რა დამემართა.

*3. თუ გრძნობთ, რომ უკან ვიღაც მოგყვებათ, თქვენ:*

ბ) ნაბიჯს ვაჩქარებ;

გ) ცნობისმოყვარეობა მძლევს და უკან ვიხედები.

*4. საჭირო გადაწყვეტილების მიღებისას, თქვენ:*

დ) რჩევას სხვებს ნაკლებად ვეკითხები, რადგან მეშინია, გადაწყვეტილება არ შემაცვლევინონ.

ა) მხოლოდ საკუთარ თავს ვუსმენ.

*5. ავად ხართ, მაგრამ ექიმთან მაინც არ მიდიხართ, რადგან;*

ა) იქ სხვა ავადმყოფებიც იქნებიან, რომლებიც თავიანთ გასაჭირზე დამიწყებენ ლაპარაკს და გამაღიზიანებენ;

ბ) საამისოდ დრო არასოდეს მრჩება და საერთოდაც, ვთვლი, რომ არ ღირს ამაზე ყურადღების გამახვილება.

*6. თუ ახალ სამსახურში ყველას მოსწონხართ, ძველში კი სერიოზული პრობლემები გქონდათ, თქვენ ფიქრობთ, რომ:*

გ) ახალი კოლეგები მართალნი არიან, ძველ სამსახურში კი, უბრალოდ, ვერ მიგებდნენ;

დ) ახლები ნაკლებად მომთხოვნნი ჩანან;

ა) ახალი კოლეგები მშვიდი ხალხია, ყველაფერს ფილოსოფიურად უდგებიან.

*7. თეატრსა თუ კინოში მაშინვე მიდიხართ, თუ გაიგებთ, რომ მთავარი გმირი:*

ა) მე მგავს და იგივე პრობლემები აქვს – მაინტერესებს, როგორ წყვეტს მათ;

*8. თუ გეუბნებიან, რომ ბოლო დროს კარგად ვერ მუშაობთ, თქვენ:*

გ) ამით ისეთ ტრავმას მაყენებენ, რომ უფრო ცუდად ვიწყებ მუშაობას;

დ) ვფიქრობ, რომ ჩემი ჩამოცილება უნდათ, რადგან საკუთარ მუშაობაში ხარვეზს ვერ ვამჩნევ;

ე) ვაანალიზებ საკუთარ ნამუშევარს და ვასკვნი, რომ საქმისთვის სხვებზე ნაკლებად არ გამირთმევია თავი.

*9. თუ ტაქსის მძღოლმა ცუდად შემოგხედავთ, თქვენ:*

ა) ვფიქრობ, რომ არ მოვეწონე;

ბ) ვფიქრობ, რომ , უბრალოდ ძალზე დაღლილია;

გ) ჩანს, მუდმივად უკმაყოფილოა.

*10. როგორც კი დიდი ხნის უნახავი მშობლები ან ბებია-ბაბუა გახსენდებათ, უმალ:*

დ) მშობლიური სახლის „სუნიც" მახსენდება და, თითქოს, „ვგრძნობ" კიდეც მას;

ე) თითქოს, მათი ხმები „შემომესმება";

ვ) ოთახების და საგნების განლაგებას წარმოვიდგენ.

შედეგები:

*თუ თქვენს პასუხებში ბ და გ ჯგუფი სჭარბობს, უნდა ითქვას, რომ საკმაოდ ოპტიმისტი ხართ და არც ცვლილებების გეშინიათ.*

*თუ უპირატესობა გ და ვ ჯგუფს მიანიჭეთ, მაშინ ნაკლებ თვითდაჯერებული და ხშირად უსარგებლოდ ჯიუტიც და ეჭვიანიც ბრძანდებით, რაც მაინც და მაინც, სიკეთეს ვერ მოგიტანთ.*



თარაზულად: 5. ცირკის წრე, მოედანი; 6. ძველი უბანი თბილისში; 9. გ.წერეთლის ნაწარმოების – „პირველი ნაბიჯის" პერსონაჟი ქალის სახელი; 10. კავშირი, გაერთიანება; 11. იაპონური ფულის ერთეული; 12. დიდებულთა მემკვიდრეობითი წოდებულება ძველ ესპანეთში; 14. მგალობელი ფრინველი; 16. ერთ-ერთი წვრილი ხმა სიმღერაში; 18. ფრანგი მწერალი; 19. მსახიობის სახის შეცვლა სპეციალური საღებავით, წვერის, ულვაშის დაწებებით; 20. ომის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 21. ერთი წინაპრის შთამომავლობა; 23. ს.რახმანინოვის ოპერა; 26. დიდი მოსავალი, ხვავი; 28. განთიადი, გარიჟრაჟი; 29. ბანქოს სათამაშო ქაღალდი, რომელზედაც მხოლოდ ერთი გამოსახულებაა; 31. პერსონაჟი მამაკაცის სახელი მექსიკურ ტელესერიალში „ველური გული"; 32. რძის პროდუქტების დასამზადებელი და შესანახი სამეურნეო სათავსო (იყენებენ საქართველოს მთიან რაიონებში); 33. დროის, ყოველგვარი დასაწყისისა და დასასრულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 34. ხაზი, რომელიც ნახატის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს.

შვეულად: 1. იალქნის დასამაგრებელი ძელი გემზე; 2. ლითონის საყლარუნებელი; 3. ფილმ „ამარკორდის" დამდგმელი იტალიელი კინორეჟისორი; 4. ერთცხენიანი დასაქირავებელი ეტლი ინგლისში; 5. ქალის მთავარი როლის შემსრულებელი იტალიელი მსახიობი ნ.ლოის ფილმში „ნეაპოლის ოთხი დღე"; 7. მთვარის, ცისა და მიწის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში. 8. კელტური ტომების სახალხო მგოსან-მომღერალი; 13. მდინარე ჩრდ. ამერიკაში; 15. ერთი სახელმწიფოს მთავრობის მიმართვა მეორისადმი; 16. თბილისის ერთ-ერთი უბანი; 17. ფრთოსანი მწერის განვითარების ბოლო სტადია; 22. ხმლის მხარიღლივ ჩამოსაკიდებელი, ვერცხლის ბალთებით შემკული თასმა; 24. ლიტერატურის თხრობითი ჟანრი-რომანი, მოთხრობა და სხვ.; 25. ინდოელი მწერალი; 27. ძვირფასი ქვა; 28. შესანახად გამხმარი ხორცი; 30. ემმაკობა, ხრიკი, თვალთმაქცობა, ფანდი; 32. კანაფისებრთა ოჯახის ხვიარა ბალახოვანი მცენარე.

შეადგინა
**ციალა ამაშუკელმა.**

გვერდი მოამზადა **რუსუდან ლეჟავამ**